რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 16 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 16—62.

№ 11 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 11



მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი

ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები [illegible] ყველა შემთხვევაში უცვლელი დარჩება, [illegible] არეობამ გვაიძულა.

[illegible] Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

[illegible] ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.


## განცხადება

ქართულ კლუბის გამგეობა [illegible] 21 იანვარს 1918 წ. [illegible]

## საზოგადო წლიური კრება.

[illegible] (3—2)

მოხმარებელ საზოგ. „მოსავალის" გამგეობისაგან

## ბინის კომიტეტის საყურადღებოთ.

[illegible]

6—1 გამგეობა.

## მოქალაქენო!

შეკავშირდით ბინის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ ბინის კომიტეტები.

[illegible]

ყოველივე ახსნა-განმარტების უფასოთ მიღება შეიძლება უბნის საბარათო ბიუროებში დილის 9 საათიდან 1 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

შეკავშირდით ბინის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ ბინის კომიტეტები.

(2—2) თფილისის ქალაქის გამგეობა.


Россійская соціалъ-демократическая рабочая партія.

Въ двадцатыхъ числахъ января предпологается возобновленіе изданія Тифлисской соц.-дем. газеты

„БОРЬБА"

Размѣръ газеты расширенный

Въ газетѣ примутъ участіе лучшіе соціалъ-демократическіе журналисты, мѣстные и столичные. Для привлеченія матеріальныхъ средствъ рѣшено выпустить ПАЙ, по 10 руб. пай.

Пріобрѣтать пай можно въ Тифл. Комитетѣ, ред. газ. „Эртоба" и „Пайкаръ" (Головинскій пр., 12) и въ районныхъ коллективахъ; тамъже принимаются пожертвованія.

Товарищи! Покупайте пай и жертвуйте для вашей рабочей газеты! Организовывайте на заводахъ, фабрикахъ группы содѣйствія по распространенію и матеріальному укрѣпленію газеты „БОРЬБА".


## დამფუძნებელი კრების იდეა არ მომკვდარა

დამფუძნებელი კრების იდეია არ მომკვდარა. დეპეშათა ცნობით დამფუძნებელი კრების წევრები სხდომებს განაგრძობენ და მას პეტროგრადის რამდენიმე პოლკის ჯარები იცავენ. ეტყობა, ბალშევიკების დიქტატურამ ვერ შესძლო რუსეთის ფართო დემოკრატიის გულში დამფუძნებელი კრების იდეიის ჩახშობა და ხიშტი და ძალმომრეობა რევოლიუციონური ხალხის სულის კვეთების წინაალმდეგ უძლური გამოდგა.

რევოლიუციონური კლასების ისტორიული ტენდენცია, ისტორიული მისწრაფება, მისი შეურყეველი ტრადიცია არც ისე სუსტი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომ იგი ამა თუ იმ ავანტიურამ სამუდამოთ ჩაჰკლას.

ჩვენ ხაზგასმულათ აღვნიშნავთ, რომ დამფუძნებელი კრების იდეიას რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია მთელი ათი წლობის განმავლობაში სპეტაკათ ატარებდა და მის მოწვევა-დაფუძნებას რამდენიმე თაობა შესტრფოდა.

მაგრამ, როცა რუსეთის სახელმწიფოს მცხოვრებთ და მის რევოლიუციის მატარებელ კლასებს საშუალება მიეცათ გულში ნადები სინამდვილეთ გაეხადათ და იგი პრაქტიკულათ განეხორციელებიათ, ამ დროს მას მარცხნიდან და არა მარჯვნიდან თავს ესხმიან, ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს ხიშტებით ერეკებიან. ისტორიას არ ახსოვს ასეთი წინაალმდეგობა. რევოლიუციონური ხალხი მთელი ათი წლობის განმავლობაში დამფუძნებელი კრების ისტორიას ატარებდეს, სოციალისტური პარტიები პრესაში და აგიტაციის მეოხებით ხალხს დამფუძნებელი კრებისაკენ მოუწოდებდენ და, როცა თვით ეს ხალხი ამ სანეტარო დროს ესწრობა და ოთხფორმულიან საარჩევნო წესით მის შეკრებას ახერხებს, სწორეთ ამ დროს, ვიმეორებთ, მას ცრუ სოციალისტური პარტია, „ჭეშმარიტი სოციალისტები" ერეკებიან. რევოლიუციის ისტორიამ ასეთი მაგალითი, ასეთი შეუწყნარებელი ფაქტი, არ იცის. იცის მხოლოდ ის, რომ დამფუძნებელი კრება რეაქციონერებს, ხალხის სურვილების მოწინააღმდეგე,—გაბატონებულ კლასებს,—გაურეკიათ, და არა მემარცხენეებს.

მაგრამ რუსეთში ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა და ფსევდო-სოციალისტებიც შემთხვევით სარგებლობენ. მხოლოდ ერთი რამ არის აღსანიშნავი: ხალხის ღრმა ისტორიული სურვილება და რევოლიუციონური კლასების ინტერესების სამუდამოთ ჩაკვლა არ შეიძლება; რევოლიუციონური კლასის, ვიხმართ ენგელსის სიტყვებს სწორი ინსტიქტი გზას ირკვევს და იგი თავის მისწრაფებისაკენ მიექანება. აქ ბალშევიკების დროებით გამარჯვება და თავისი დიქტატურის ხიშტებზე გამაგრება ხანგრძლივი არ გამოდგება და მას ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოელოს.

მათმა ავანტიურამ თავის გარშემო ფართო მასის ნება-სურვილი ვერ შემოიკრიბა და ვერც შემოიკრებდა, ვინაიდან ბალშევიკებმა წამოაყენეს ისეთი პრობლემის გადაწყვეტა, ისეთი ღრმა სოციალისტური ცვლილების მოხდენა, რომელიც განსაზღვრულ ეკონომიურ და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას მოითხოვს. ობიექტური და სუბიექტური სინამდვილე ბალშევიკების დიქტატურის წინააღმდეგია და უკანასკნელი ფართო საზოგადოების ნება-სურვილის გამომხატველი არ იქნება. მეცნიერული სოციალიზმის მამათ-მთავარი კარლ მარქსი სოციალისტური რევოლიუციის მოხდენას მოელოდა მხოლოდ მაშინ, როცა საწარმოვო ძალთა განვითარება თავის უმაღლეს წერტილს მიაღწევდა, როცა პროლეტარიატი ობიექტიურსა და სუბიექტურ პირობების მიხედვით სრულიად მომწიფებულათ გრძნობს თავს დიქტატურა გამოაცხადოს, მაშინაც კი, კარლ მარქსის შეხედულებით, საჭიროა, რომ მის, ე. ი. პროლეტარიატისაკენ **ფართო მასის სიმპატია** იყოს და მას საზოგადოების დიდი ნაწილი თანაგრძნობით ეპყრობოდეს.

მერე განა რუსეთის ფართო საზოგადოება, რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიის უმრავლესობა ბალშევიკების უტოპიის მომხრეა და ისინი მოიწონებენ დამფუძნებელი კრების გარეკას? ფართო მასამ რევოლიუციონური ინსტიქტის მეოხებით ცხოვრებას საკმარისად აართო ალღო და მან კარგათ იცის, რომ ჯერ დემოკრატიული წყობილება უნდა განმტკიცდეს და მხოლოდ მერე შეიძლება სოციალიზმის სამეფოში გადასვლა. მონარქიზმიდან სოციალიზმის სამეფოში გადახტომა—ეს ისეთი უტოპიაა, რომელიც ანარქო-ბლანკისტებსაც შეეშინდებოდათ ასეთ ნაბიჯის გადადგმა.

ამიტომაც არის ბალშევიკების დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ გალაშქრება და დემოკრატიული წყობილების განმტკიცების უარყოფა, ფართო მასის სურვილების რისხვას გამოიწვევდა და როგორც დეპეშათა უკანასკნელი ცნობა გადმოგვცემს იგი სინამდვილეთ გადაქცეულა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პეტროგრადის მასსას გვერდში ამოუდგება სხვა ცენტრების რევოლიუციონური მასსა და დამფუძნებელ კრებას მტკიცე საძირკველი ჩაეყრება. ხალხის მისწრაფებას და მის სწორე ალღოს ხიშტები ვერ ჩააქრობენ და დამფუძნებელ კრების იდეიის მოკვლა არავის შეუძლიან.

## სამოქალაქო ომი ჩვენში.

ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილიდან, ე. ი. მუსულმანთა პროვინციებიდან ყოველ დღე ახალ-ახალი ცნობები მოდის სამოქალაქო ომის შესახებ. გახშირდა ყაჩაღთა თარეში, მაგრამ ამავე დროს ორი, ისტორიულათ შეურიგებელი წოდება დაუპირდაპირდა ერთმანეთს: მრავალ საუკუნოებით მონობაში მყოფი მუსულმანი გლეხობა აღსდგა, წელში გასწორდა და თავის მოსისხლე მტერს —მემამულეთა წოდებას სასტიკი ომი გამოუცხადა. ისტორიას ჩაბარდა ის წყეული დრო, როცა მუსულმანი გლეხობა გაბატონებულ კლასების წაქეზებით სომეხ გლეხობის წინააღმდეგ იბრძოდა და ძმათა სისხლს ღვრიდა. ეროვნულ ქიშპობის ალაგი კლასიურმა ბრძოლამ დაიკავა, მუსულმანები ორ მოპირდაპირე ბანაკათ დაიყვნენ. ამიერიდან მუსულმანთა შორის აღარ არსებობს ერთი მთელი ერი მეორე ერის წინააღმდეგ დარაზმული: ერთის მხრით დგანან თათარი მემამულეები, ბეგ-აღალარები და მათი დამცველი სასულიერო წოდება, რომელმაც ყურანის მტრათ გამოაცხადა სოციალიზმი, და ცხოვრების გაუმჯობესება, მეორე მხრით დგას დიდი უმრავლესობა —თათრის გლეხ-კაცობა, რომელიც სალათას ძირს ერკვევა და თავის ნამდვილ მტერ-მოყვარეს ანგარიშს უწევს.

ვიღაცამ სთქვა რევოლიუცია ფოსტით მივიღეთ პეტროგრადიდანო. ეს „ფოსტით მიღებული" რევოლიუცია ვერ გამოდგა ცხოველ-მყოფელი ხალხის ფართო მასისთვის: არც ერთი საარსებო რეფორმა ცხოვრებაში არ გატარებულა. ყველაზე უფრო დაზჩაგრებული, რასაკვირველია, სოფლის ხალხი დარჩა.

ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში, სადაც ხალხმა ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს მოახერხა შეკავშირება, საქმე, შედარებით, კარგათ მოეწყო რევოლიუციალომ და შეგნება-შეკავშირებამ ხალხს შეძლება მისცა თავის გემოზე მოეწყო ადგილობრივი ცხოვრება და ზოგიერთ დიდ კითხვების გადაჭრა დამფუძნებელ კრებამდის გადაედვა.

სულ სხვა იყო ჩამორჩენილ ადგილებში, განსაკუთრებით მუსულმანთა პროვინციებში. აქ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის ნებართვით, და, შეიძლება მის ზურგს უკანაც, ძველი რეჟიმის მოშლით გაბატონებულმა კლასებმა ისარგებლეს და თავისი ბატონობა გამოაცხადეს. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ეს ბეგ-აღალარების და სასულიერო წოდების ბატონობა გაცილებით უფრო სამძიმო იყო თათრის მშრომელ სალხისთვის, ვინემ ძველი თვითმპყრობელობის მოხელეთა თარეში. თვითმპყრობელობას ერთგვარი წესი მაინც ქონდა მართვა-გამგეობაში, ავათ თუ კარგათ რუსეთის საერთო კანონს ატარებდა ის ცხოვრებაში. მუსულმან ბეგებმა კი თავისი ვიწრო ეგოისტური ინტერესები გაიბატონეს ყველაფერში. ამიტომ იყო, რომ ხალხს იქ არ უგრძვნია რევოლიუცია და თვითმპყრობელობის დანგრევის შემდეგ ასე ძლიერათ იჩინა თავი ყაჩაღობამ და ძარცვა-გლეჯამ.

ზომიერების დამცველები ტყვილა ფიქრობენ, ღრმა სოციალურ რეფორმების ცხოვრებაში გატარება, კერძოთ მიწების ჩამორთმევა სამოქალაქო ომს გამოიწვევსო.

პირიქით, სამოქალაქო ომს იწვევს ხალხის ინტერესების უყურადღებოთ მიტოვება. მუსულმანთა პროვინციები ამის საუკეთესო დამამტკიცებელ მაგალითს იძლევა.

როგორია ჩვენი დამოკიდებულება იმ ამბებთან, რაც თათრებში ხდება. ცხადია, ჩვენ პრინციპიალური მოწინააღმდეგენი ვართ ხოცვა-ჟლეტის და დარბევა-აწიოკების. ამიტომ ის, რაც თათრებში ხდება, ჩვენ ძალიან გვაღონებს.

მაგრამ არ შეგვიძლია სიხარულით არ შევხვდეთ თათრის გლეხობის გამოღვიძებას.

რა ვუყოთ, რომ ეს გლეხობა ვერ არის დარაზმული დემოკრატიულ ორგანიზაციებში და მწყობრათ და შეგნებულათ ვერ აწარმოებს მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლას. და ამიტომ ვინ იქნება ისეთი თავხედი, რომ თათრის გლეხობის ასეთს ნაბიჯებს ზნეობრივი ლაქა მოსცხოს, ვინ იქნება ისეთი, რომ მას სალამი არ მიუძღვნას. აბა რა გააკეთა თითონ თათრის გაბატონებულმა კლასებმა, რომ მოძრაობას ნორმალური ხასიათი მიეღო და ხოცვა-ჟლეტას ადგილი არ ქონოდა. პირიქით, თათრის თავადობას და სასულიერო წოდებას განუზრახავს ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება, მას გადაუწყვეტია დემოკრატიის სისხლში ჩახრჩობა. ბეგ-აღალარები აღარ სჯერდებიან ყაჩაღთა რაზმების მოწყობას, მათ ტერორისთვის მიუმართავთ და გლეხობის მევობრების ხოცვას შესდგომიან. გვეტყვიან: ამიერ კავკასიის კომისარიატმა უდროვო დროს გამოსცა თავის დეკრეტი მემამულეებისთვის მიწების ჩამორთმევის შესახებ და სამოქალაქო ომიც ამან გმოიწვია. ეს არ არის მართალი. სამოქალაქო ომი სწორეთ იმან გამოიწვია, რომ ეს დეკრეტი პრაქტიკულათ არ განხორციელებულა. თათრის გლეხობას მეტის მოთმენა აღარ სურს.

მუსულმანთა მაგალითი ჩვენთვისაც გამაფრთხილებელი უნდა იყოს. გადაწყდა ჩვენში ერობის შემოღება, ხოლო ინსტრუქცია იმის შესახებს, თუ როდის და როგორ განხორციელდეს ის, ჯერაც არ არის გამომუშავებული. მიწის შესახებ დეკრეტი არც ჩვენშია გატარებული, გაზაფხული კი მოდის. მინდვრებში მუშაობა მალე დაიწყება და მიწის საქმე კი მოუგვარებელია.

სამაზრო და სასოფლო ორგანიზაციები მოვალენი არიან დაუყონებლივ შეუდგენ აღნიშნულ რეფორმების ადგილობრივ განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ანარქია არც ჩვენ აგვცდება.

დღეს რევოლიუციონური ხანაა, ყველაფერი ძველი ინგრევა და ახალი შენდება.

ამიტომ საჭიროა მეტი სითხიზლე და ენერგია გამოიჩინონ ძირიდან.

ხალხის საქმე ხალხისვე ხელით კეთდება.

## პრესა

„სახალხო საქმის" ხელმძღვანელნი ისე იქცევიან, როგორც ერთი არაკის სულელი გმირი, რომელიც ერთხელ გაზეპირებულ სიტყვებს იმეორებდა ყველა შემთხვევებში. მათ ამოუწერიათ „ერთობიდან" ჩვენი სიტყვები მომავალ სეიმის მოღვაწეობის შესახებ, სახელდობრ ადგილობრივ თვითმართველობების მოწყობის შესახებ და აღშფოთებული სწერენ:

„რასაც გაზეთი „ერთობა" სწერს ძალიან კარგათ გვესმის, მაგრამ რასა ნიშნავს გეგეჭკორისა და კომპ. გალაშქრება ეროვნულ საბჭოების წინააღმდეგ? ნუ თუ ასეთი წაჯიქ-უკუჯიქობით შეიძლება ან ეროვნულ ტერიტორიალური თვითმართველობის შექმნა და ან ისეთი ავტორიტეტული ცენტრისა, რომელიც სარევოლიუციო წესიერების დამყარებას მოახერხებს? ამ გზით, რომელიც გეგეჭკორს აურჩევია, შეუძლებელია დასახულ მიზნის მიღწევა. შეუძლებელია იმიტომ, რომ გეგეჭკორი ჩვენი ცხოვრებიდან უკვე გარიყულ ძალას ემყარება. ეროვნული საბჭოები ცხოვრებამ წარმოშვა და, ვინც იმის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ის იძულებული გახდება ან ცხოვრებიდან გარიყული დარჩეს, ან ისეთს ძალას დაემყაროს, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ამიერ კავკასიის ერთა სარევოლიუციო ინტერესებთანო".

გეგეჭკორს არ გაულაშქრია ეროვნულ საბჭოების წინააღმდეგ პრინციპიალურათ, მან მხოლოდ აღნიშნა, რომ ეს საბჭოები ხშირათ ისეთს საქმეებში ერევიან, რომელნიც მათ კომპეტენციაში არ შედის. რაც შეეხება ცხოვრებიდან გარიყვას, ჩვენ კარგათ ვიცით, **რომ გარიყულნი არიან თვით ფედერალისტები**, რომელნიც ხალხის უმრავლესობას—მუშებს და გლეხებს და მათ ორგანო—მუშათა და გლეხთა საოლქო საბჭოს ცხოვრებიდან გარიყულათ თვლიან.

* * *

აღნიშნულ არაკის გმირის ფილოსოფიას ვერ გაშორებია კერძოთ არ. ჯაჯანაშვილიც. ის წარა-მარა იმეორებს „ტანჯული საქართველო", „მრავალტანჯული სამშობლოს ცას" და გონია, რომ ახლავე საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევა მოგვანიჭებს ყოველგვარ შვებას. ის სწერს:

„საქართველოს სჭირია პატრონობა, სწორედ ამ საქართველოს სჭირია გაერთიანება და სასიცოცხლოდ ამოძრავება. ამას კი მხოლოდ „საქართველოს" დამფუძნებელი კრება შესძლებს, კრება, რომელიც ქართველი ერის ნებისყოფას გამოხატავს და დაავგირგვინებს საქართველოს სხეულს ორგანოთი, რომელიც ერთად-ერთი უზენაესი ბატონ-პატრონი გახდება ჩვენი ქვეყნისა".

მადა ჭამაში მოდისო, ფრანგები ამბობენ, ბ. ჯაჯანაშვილი თხოულობს საქართველოს სრულს დამოუკიდებლობას —არც მეტს არც ნაკლებს, ხოლო ვინ უთხრა მას, რომ „ქართველ ერის ნებისყოფა" ასეთი იქნება, ეს ალაჰმა უწყის. ასე იციან უჯარო გენერლებმა!

სწორეთ უჯარო გენერლობის ბრალია ისიც, რომ „სახალხო საქმის" მეორე თანამშრომელი ბ. აკ. პაპავა ასე კატეგორიულათ აცხადებს:

„თითქოს ბავშვებისათვისაც კი ნათელია ის აზრი, რომ რუსეთის **დამფუძნებელი კრების შეუძლებლობა** რადიკალურათ სვამს საკითხს ადგილობრივ ეროვნულ კრებათა მოწვევისა" და სხვ. (ხაზი ჩვენია).

ჩვენ გვგონია, რომ სწორეთ ბავშვისთვისაც კი არ არის შესაწყნარებელი ასეთი კატეგორიული განცხადება **დამფუძნებელ კრების შეუძლებლობის** შესახებ და ბ. პაპავას სხვა მოსაზრებების განხილვა მეტად მოგვაჩნია.

* * *

ბალშევიკები თითქოს გრძნობენ აღსასრულის მოახლოებას. მათ კარგათ იციან რომ ისტორია არ აპატიებს დემოკრატიის გათიშვას, რომ დემაგოგიის წამოყენებით ისინიც შეიძლება იმ მდგომარეობაში ჩაცვივდენ, რომელშიაც სხვა სოციალისტური პარტიები ჩაცვივდენ ამიტომ ისინი აქედანვე ცდილობენ თავის გამართლებას. „ბრძოლა" სწერს:

ბალშევიკები არაფერს არ დაზოგავს, არაფერს არ დაინდობენ, რომ ხალხის მოთხოვნილებები სავსებით დაკმაყოფილდეს **და თუ აქ მათ წინ აღემართება,**

ბუნებრივი ზღუდე, ამას ანგარიშს გაუწევს თითონ ხალხიც, რადგან მისი გადალახვა არა ძალას არ შეუძლია. ავიღოთ მაგალითად პურობა. ყოველგვარი სპეკულიაცია სასტიკათ იქნება ჩაკლული. მთელი რაოდენობა პურისა თანასწორათ იქნება განაწილებული მცხოვრებთა შორის, მაგრამ თუ შეიქნება ისეთი მდგომარეობა, რომ პური მაინც არ იკმარებს ომით გამოწვეულ ეკონომიურ არევ-დარევის გამო, **ხალხი დაინახავს** ბალშევიკების გარეშე არსებულ ნამდვილ მიზეზს და თვით **მოახერხებს უწამლოს თავს, თუ საჭირო იქნება უდრტვინველათ გადავა პურის ნაცვლათ სუროგატებით კვებაზე** და არავის არ გააბრიყვებიებს თავს დემაგოგიური ლოზუნგებით".

ბალშევიკებმა აღუთქვეს ხალხს ზავი და პური, ამისთვის ხიშტებს დაეყრდნენ და მთელი დემოკრატია გასრისეს. დღეს, როცა ზავის მაგიერ მხოლოდ სამოქალაქო ომი გამოიწვიეს, პურის ნაცვლათ სუროგატებით კვებაზე გადასვლას ურჩევენ. ერთი სიტყვით, პურის ნაცვლათ **აჯაბ-სანდალის** ჭამას ურჩევენ ხალხს და თან მედიდურათ დასძენენ: „ბალშევიკები ზღაპრებით და ძილის პირებით არ შეიყოლიებენ ხალხს"-ო. მაშ, რა არის ეს, თუ არ ზღაპრებით შეყოლიება?

რაც დასთესეს, იმას იმკიან!

## ბალშევიკების საზავო მოლაპარაკების გაბათილება.

ბალშევიკების მთავარი ლოზუნგი, რომლითაც მათ უკანასკნელ ხანებში რუსის ჯარში დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს—ეს იყო დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება. ამ ლოზუნგით ვაჭრობამ მისცა მათ საშუალება პეტროგრადში მოეხდინათ სამხედრო შეთქმულობა და ძალა-უფლება ხელში ჩაეგდოთ. და რა გასაკვირალია, თუ ბალშევიკების მთავრობამ მის განხორციელებას მიაქცია ყურადღება. მაგრამ რუსეთის პროლეტირიატისა და დემოკრატიის საუბედუროთ, ლენინ-ტროცკიმ ზავის ჩამოსაგდებათ მოლაპარაკება გამართა არა ცენტრალურ სახელმწიფოთა პროლეტარიატთან, როგორც, შეფერის სოციალისტებს, არამედ გერმანია-ავსტრიის იმპერიალისტურ მთავრობებთან. თავის თავათ ცხადი იყო ამ მოლაპარაკებიდან რუსეთი დემოკრატიულ ზავს ვერ მიიღებდა.

თანამედროვე მსოფლიო ომი ევროპის იმპერიალისტებმა დაიწყეს არა დაჩაგრულ ერთა გასანთავისუფლებლათ, როგორც ეს მათ დააწერეს თავიანთ დროშაზე დემოკრატიის თვალის ასახვევათ, არამედ სხვის ტერიტორიების დასაპყრობათ, რომ მათი გაუმაძღარი მადა დაეკმაყოფილებიათ. როდესაც ბალშევიკებმა მიმართეს სწორეთ ამ იმპერიალისტების მთავრობებს, ბრმებისთვისაც კი აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ გერ. იმპერიალ. არაფერს დაუთმობდენ რუსეთის დემოკრატიას და მით უმეტეს არ დასთანხმდებოდენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე, რაც უნდა დამყარებული ყოფილიყო ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე, რომელიც შეიმუშავა პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭომ კ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით და რომელიც ამცნეს ევროპის პროლეტარიატს და დემოკრატიას 14 მარტის ისტორიულ მოწოდებაში. რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას ასეთი ზავის ჩამოსაგდებათ არჩეული ჰქონდა არა ის ანტიდემოკრატიული გზა, რომელსაც ადგია ლენინ-ტროცკის მთავრობა, არამედ დროებით დანგრეული ინტერნაციონალის აღდგენა, სადაც თავს მოიყრიდენ ყველა მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების სოციალისტების წარმომადგენლები და საბოლოოთ შეიმუშავებდენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ფორმებს დ ეცდებოდენ თავთავიანთ ქვეყნებში ამ იდეის განხორციელებას. ამ მიზნით რუსეთის პროლეტარიატმა გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯი. მან გაგზავნა ევროპაში დელეგაცია, რომელსაც იქაურ სოციალისტებთან ერთათ უნდა მოეწვია სტოკჰოლმში სოციალისტების სამშვიდობო კონფერენცია. ბალშევიკებს ამ კონფერენციაზე მონაწილეობა დიდ ბოროტებათ მიაჩნდათ და აგიტაციასაც ეწეოდენ მის მოწვევის საწინააღმდეგოთ. ევროპის იმპერიალისტებისა და ბალშევიკების ავანტიურის წყალობით სტოკჰოლმის კონფერენცია ვერ შესდგა და ამრიგათ სოციალდემოკრატიის ლოზუნგი: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დროებით განუხორციელებელი დარჩა.

ბალშევიკების მთავრობამ პროლეტარიატის მაგიერ ვილჰელმის გენერლებთან გამართა მოლაპარაკება, ჩამოაგდო დროებითი ზავი და დაიწყეს საბოლოო ზავზე მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკში. უკანასკნელი წინადადება მისცეს მოკავშირეების მთავრობებს, რომ მათაც გამოეგზავნათ თავიანთი დელეგატები საზავო მოლაპარაკებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სეპარატიულ ზავზე დაიწყებდენ მოლაპარაკებას. მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობები არ სცნობენ ბალშევიკების მთავრობას და ამისთვის ანგარიშიც არ გაუწიეს მათ წინადადებას, იმათ მხოლოდ ერთხელ კიდევ გამოააშკარავეს თავიანთი ანექსიონისტური სულისკვეთება. ყველაფერი ეს მოხდა ევროპის პროლეტარიატის დაუკითხავად.

ბალშევიკების დელეგატებმა დაიწყეს ზავზე მოლაპარაკება და ამ სამი კვირის წინათ მათმა მთავარსარდალმა პრაპორშჩიკმა კრილენკომ დიდი რიხით ამცნო ქვეყანას, რომ გერმანიის იმპერიალისტებს ქედი მოვახრევინეთ და იძულებული გავხადეთ დათანხმებულიყო უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზეო. ბევრი ალტაცებაში მოიყვანა კრილენკოს განცხადებამ, მაგრამ ჩვენ მენშევიკები, რასაკვირველია შორს ვიყავით ამ უტოპიისაგან. უკანასკნელათ მოსული ცნობებით ჩვენი პესიმიზმი ასეთი ზავის საკითხში სავსებით მართლდება. როგორც ცნობებიდან სჩანს, გერმანიის გენერლებს ამ ბოლო დროს სულ სხვა კილოზე დაუწყიათ ბაასი ბალშევიკების დელეგატებთან.

8 იანვრის თარიღით თფილისში მოსულ რადიოტელეგრამის ტექსტში, რომელიც გამოგზავნილია ბალშევიკების მთავრობის მიერ ცარსკოე სელოდან, სხვათა შორის ვკითხულობთ: „გერმანიის იმპერიალიზმის მიზნები სავსებით გამოაშკარავდა, საქმე ეხება გერმანელების მიერ ყველა იმ მიწების ხელში ჩაგდებას, რომლებიც ამ ჟამათ გერმანია-ავსტრიის ჯარებს უკავია. გერმანელები უარს ამბობენ, რომ რაიმე პირობა მოგვცენ ჯარების გაყვანის შესახებ პოლონეთიდან, ლიტვიდან, კურლიანდიიდან და მოონ-ზუნდის კუნძულებიდან. თვითგამორკვევის შესახებ სიტყვები ამის შემდეგ დაინტერესებულ ერთა დაცინვა ხდება".

ამ ამონაწერიდან ნათლათ სჩანს, რომ გერმანიის იმპერიალისტები არა თუ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე თანხმდებიან, არამედ იოტის ოდენა დათმობასაც კი არ ფიქრობენ და ყველა ის დაპყრობილი ადგილები, რომელიც დღეს გერმანიის ხელშია, მის საბოლოო შეერთებაზე ოცნებობენ.

მეორეს მხრით, ბალშევიკების დელეგატებსაც დაუკარგავთ ყოველივე იმედი ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკებაზე. როგორც სჩანს ბალშევიკებიც დარწმუნებულია, რომ იმპერიალისტებთან მოლაპარაკება რუსეთისთვის სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებდა და იმიტომ დასძენენ: „ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მან ნიღაბი ჩამოხადა გერმანიას და გამოააშკარავა მისი კაპიტალისტურ-ანექსიონისტური სულისკვეთება. აშკარაა, ამ მოლაპარაკებიდან დიდს არას უნდა ველოდეთ"-ო.

ბალშევიკები თავიანთი უტაქტო მოქმედებით ორ ცეცხლს შუა მოექცენ. მათი აგიტაციის წყალობით რუსის ჯარი გაიხრწნა და მისი სამხედრო ძალა სრულიად არარათ იქცა — ჯერ კიდევ ბალშევიკების პეტროგრადში გაბატონებამდე, მათი აგიტაციის წყალობით ჯარისკაცები ათასობით სტოვებდენ ფრონტს და სახლისაკენ მიეშურებოდენ და სწორეთ ამ დროს წარსდგა ბალშევიკების მთავრობა გერმანიის იმპერიალისტების წინაშე ზავზე მოსალაპარაკებლათ, რამაც კიდევ უფრო ხელი შეუწყო იმპერიალისტების მადის გაღვიძებას.

დღეს ბალშევიკების წინ ასეთი დილემა სდგას: ან უნდა დაეთანხმონ გერმანიის გენერლებს და ჩამოაგდონ რუსეთის დემოკრატიისთვის ყოვლად სამარცხვინო ზავი, რომელიც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში მძიმე ტვირთად დააწვება რუსეთის პროლეტარიატს და დემოკრატიას, ან და ხელი უნდა აიღონ თავიანთ ბატონობაზე და გადასცენ ძალა-უფლება დამფუძნებელ კრებას, რომელიც გამოხატავს მთელი რუსეთის ხალხის ნება-სურვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათაც სულ მალე ის ბედი ეწევა, რაც კერენსკის მთავრობას ეწია. გადაჭრით არ შეიძლება იმის თქმა, თუ რომელ გზას აირჩევს ბალშევიკების მთავრობა, უღალატებს დემოკრატიას და დასთანხმდება გერმანიას სამარცხვინო ზავზე, თუ გადასცემს ძალა-უფლებას დამფუძნებელ კრებას, მხოლოდ ერთი კი აშკარაა: ბალშევიკები ვერ შესძლებენ დაამყარონ რუსეთში დემოკრატიული ზავი. ეს ბალშევიკების უძლურება უკანასკნელი გაკვეთილი უნდა დარჩეს იმ მასსისთვის, რომელიც გულუბრყვილოთ მისდევენ მათ.

ხ. ელიაძე.

## დებულება
### მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის შესახებ.

1) ამიერ კავკასიის საზღვრებში წარმოების პატრონი მოვალეა მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა მოახდინოს პროფესიონალურ კავშირთან ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთან შეთანხმებით.

2. წარმოების პატრონი მუშებს იწვევს შრომის ბირჟის საშუალებით და მუშათა სარეკომენდაციო სიას გადასცემს განსახილველად სათანადო პროფესიონალურ კავშირს ან საქარხნო კომიტეტს.

**შენიშვნა:** მუხ. 1 და 2 არ ვრცელდება იმ შემთხვევის დროს, როცა წარმოების ალაგას არ არის პროფესიონალური კავშირი ან საქარხნო კომიტეტები და აგრეთვე შრომის ბირჟა.

3) მუშა, რომელიც ექვსი დღე იმუშავებს ამა თუ იმ წარმოებაში, სარგებლობს ყველა იმ უფლებებით, რაიც დაწესებულია წარმოებაში მუდმივ მუშებისათვის.

4) უკეთუ მუშა გამოუსადეგარია უცოდინარი თავის საქმისა და არ შეეფერება თავის დანიშნულებას, ამის შესახებ წარმოების ადმინისტრაცია ექვსი დღის გასვლამდე განუცხადებს პროფესიონალურ კავშირს ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს და ამგვარი განცხადების შემდეგ შეიძლება მუშის დათხოვნა ან მისი ნაკლები ხელ-ფასის კატეგორიის სამუშაო ხელფასზე გადაყვანა.

**შენიშვნა:** უკეთუ პროფესიონალურ კავშირისა ან საქარხნო კომიტეტს შორის ერთის მხრით და მეორეს მხრით წარმოების ადმინისტრაციას შორის ვერ მოხდა შეთანხმება იმ საკითხში—ვარგისია მუშა ამა თუ იმ სამუშაოზე თუ არა, ხდება მუშის გამოცდა მცოდნე პირთა თანადასწრებით, რომელთა რიცხვს თანასწორათ ირჩევს ორივე მხარე. მცოდნე პირთა გადაწყვეტილება სავალდებულოა როგორც წარმოების პატრონის, აგრეთვე მუშებისათვის.

5) წარმოების პატრონს შეუძლია მოითხოვოს მუშის და მოსამსახურის დათხოვნა:

ა) წარმოების დახურვის გამო,
ბ) წარმოების შემოკლების გამო,
გ) უკეთუ მუშა გამოუსადეგარია,
დ) ქურდობისთვის,
ე) მასალების და ქონების წინასწარი განზრახვით გაფუჭებისათვის.
ვ) უკეთუ ის სისტემატიურათ გაურბის თავისი მოვალეობის ასრულებას,
ზ) დიდის ხნით და სისტემატიურათ სამუშაოზე არ გამოცხადებისათვის, უკეთუ ამის საპატიო მიზეზი არ მოეპოება მას.
ი) წარმოების პატრონის ან წარმოების ადმინისტრაციის შეურაცყოფისათვის მოქმედებით იქნება ეს თუ სიტყვიერათ.

**შენიშვნა** 1) მუშის შრომის უნარის არ ქონა უნდა გადაჭრას ექიმთა ექსპერტიზამ, რომელიც დანიშნულ უნდა იქნას ორივე მხარის შეთანხმებით.

**შენიშვნა** 2) წარმოების დახურვის ან წარმოების შემცირების საკითხი გასარჩევათ გადაეცემა ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სალიკვიდაციო კომისიას, სადაც ასეთი არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შექმნილ იქნას პროფესიონალურ კავშირთან ან საქარხნო კომიტეტთან საკანტროლო კომისია თანასწორ საფუძველზე.

6) ყველა ისეთ შემთხვევაში, რომლებიც ჩამოთვლილი არ არის მე-5 მუხლში, წარმოების პატრონი დასაბუთებულ განცხადებას უდგენს მუშის დათხოვნის შესახებ პროფესიონალურ კავშირს ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს; უკეთუ კომიტეტი ან კავშირი არ ეთანხმება წარმოების პატრონს მუშის დათხოვნის საქმეში, ვალდებულია აცნობოს თავისი აზრი ორი კვირის განმავლობაში დღიდან ქაღალდის მიღებისა. უკეთუ კომიტეტი ან კავშირი თავის აზრს არ აცნობებს ამ ხნის განმავლობაში წარმოების პატრონს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მუშის დათხოვნაში კომიტეტი ან კავშირი თანახმაა, თუ ვინიცობაა წარმოების პატრონი კავშირის ან კომიტეტის თანახმა არ იქნება, მხარეების თანხმობით საქმეს გაარჩევს სამედიატორო სასამართლო ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომრიგებელი კამერა, სამედიატორო სასამართლომ ან მომრიგებელმა კამერამ განაჩენი უნდა გამოიტანოს ორი კვირის ვადაში, რომელიც სავალდებულო იქნება ორივე მხარესთვის.

7) საკითხის მომრიგებელ კამერაში ან სამედიატორო სასამართლოში გადაწყვეტამდე დათხოვნილი მუშა შეუძლია წარმოების ადმინისტრაციას სამუშაოზე არ დაუშვას, მხოლოდ მუშას შეენახება როგორც ადგილი, ისე ჯამაგირი საქმის გარჩევამდე.

8) მუშათა ან მოსამსახურეთა ერთი რაიონიდან მეორეში გადაყვანა შეიძლება მხოლოდ გადასაყვანი პირის თანხმობით, თუ გადაყვანის წინააღმდეგია მუშებს და მოსამსახურეებს შეუძლიათ საქმე გაასაჩივრონ პროფესიონალურ კავშირში ან საქარხნო კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა ორივე მხარისთვის. საჩქარო შემთხვევაში, როცა მუშის გადაყვანის დაგვიანება გავლენას იქონიებს წარმოების წესიერ მუშაობაზე, წარმოების პატრონს უფლება ეძლევა მუშის გადაყვანისა, მუშას კი, უფლება აქვს საქმე გაასაჩივროს.

9) წარმოების მოსალოდნელ შემცირების გამო მუშებს უფლება ეძლევათ შეამოკლონ სამუშაო საათები და თავიანთ ადგილებზე დასტოვონ დასათხოვნი მუშები. ასეთ პირობებში შესაფერისად მცირდება თითოეულ მუშის და მოსამსახურის ხელფასი.

10) პროფესიონალურ კავშირს უფლება აქვს მოსთხოვოს წარმოების პატრონს დაითხოვოს ისეთი მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით: ა) შტრეიკბრეხერობაში და ბ) დასმენაში.

ყველა სხვაგვარ შემთხვევებში პროფესიონალური კავშირი ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი დასაბუთებულ განცხადებას ურდგენს წარმოების პატრონს; უკეთუ წარმოების პატრონი არ დასთანხმდება, საქმე გადადის გასარჩევათ მომრიგებელი კამერის ან სამედიატორო სასამართლოს ხელში ამ დებულების მე-6 მუხლის წესით.

11) პროფესიონალურ კავშირს ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს წარმოების ადმინისტრაციის პირთაგან ისეთების დათხოვნა, რომელთაც დანაშაული მიუძღვით: ა) შრომის დაცვის კანონების ან ხელშეკრულობის პირობების აშკარა დარღვევაში, ბ) მუშების ან მოსამსახურეთა შეურაცყოფაში სიტყვით ან მოქმედებით. დანარჩენ შემთხვევებში პროფესიონალური კავშირი ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი ურდგენს წარმოების პატრონს დასაბუთებულ განცხადებას. თუ ვინიცობაა, წარმოების პატრონი არ დასთანხმდება, საქმე გადაეცემა გასარჩევათ მომრიგებელ კამერას ან სამედიატორო სასამართლოს ამ დებულების მე-6 მუხლებში მოხსენებული წესით.

12) წარმოების პატრონის მიერ მუშების და მოსამსახურეთა დათხოვნის დროს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დასათხოვნთ უნდა გამოეცხადოს ორი კვირით ადრე და მიეცეს ჯამაგირი, სანამ ამის შესახებ საგანგებო დეკრეტი გამოიცემოდეს, თანახმად იმ წარმოებაში შემუშავებული პირობებისა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმ ნორმაზე არა ნაკლები, რაც მიღებული აქვს ადგილობრივ მომრიგებელ კამერას.

13) ეს დებულება ვრცელდება ყველა კერძო, საზოგადოებრივ და სახელმწიფო წარმოებებზე და ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

თავმჯდომარე ამიერ კავკასიის კომისარიატისა, შრომის სამინისტროს კომისარი ე. პ. გეგეჭკორი.

## დამფუძნებელი კრების გარშემო

14 იანვარს ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრმა, დამფუძნებელი კრების დეპუტატმა ოგანჯანიანმა დონის როსტოვიდან შემდეგი აცნობა თფილისში პირდაპირი მავთულით ამ. ჟორჟოლიანს: დამფუძნებელი კრება გარეკეს 6 იანვარს. შინგარევი და კოკოშკინი მოჰკლეს სატუსაღოს საავათმყოფოში. ცნობები იყო წერეთელის და ჩერნოვის მოკვლის შესახებ, მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა. აპატიმრებენ ესერების ცენტრალური კომიტეტის წევრებს. მოსკოვში დაპატიმრებულია რამდენიმე ათეული ესერები და ბუნდოელები. დამფუძნებელმა კრებამ გადასწყვიტა განაგრძოს სხდომები პრეობრაჟენის პოლკის „მანეჟში". დამფუძნებელ კრებას იარაღით ხელში იცავენ პრეობრაჟენის, სემიონოვის, პავლოვის პოლკები და ბალტიის ფლოტის რამდენიმე ბრიგადა. გუშინ ხმები გავრცელდა, რომ ამ პოლკებმა ალყა შემოარტყეს სმოლნი ინსტიტუტს, მოჰკლეს ლენინი და დააპატიმრეს სახალხო კომისარებიო, მაგრამ ამ ხმების დადასტურება-შემოწმება არ მოხერხდა. დონის ოლქის მდგომარეობას არა უშავს, თუმცა ბალშევიკები მოდიან ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდანაც. ადგილობრივი მთავრობა შევსებულ იქნა არა ყაზახ დემოკრატიის წარმომადგენლებისაგან. ეს არის გაერთიანებული მთავრობა პარიტეტულ (თანასწორ) საფუძველზე საერთო მთელი ოლქისთვის გარეშე ატამანისა. საქმე თანდათან ეწყობა. იქნება შესაძლებლათ დაინახავს ამიერ-კავკასიის კომისარიატი მომანდოს მე, ვიდრე აქ ვიმყოფები ოფიციალური დამოკიდებულება ვიქონიო გაერთიანებულ მთავრობასთან. პეტროგრადში მომხდარი ამბების გამო მე დროებით აქ დავრჩი. ლუნკევიჩი და აგრეთვე სხვა წევრები დამფუძნებელი კრებისა აქედან გაემგზავრენ მოსკოვს 11 იანვარს. მათ ჯერ-ჯერობით არაფერი არ უცნობებიათ ჩვენთვის.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

**აქსტაფიდან** 14 იანვარს არზუმანოვისაგან შემდეგი ცნობა მოვიდა: გუშინ 2 საათზე ჩვენ მივედით ყაზახში და იქ შევხვდით ჯაფაროვს და ხას-მამედოვს. მაზრაში მღელვარებაა. ზომები მიღებულია. სომხებმა, ქართველებმა და რუსებმა გადასწყვიტეს დასტოვონ ყაზახი. ჩვენ მათ ვურჩიეთ ოჯახობა გაეგზავნათ აქედან და თითონ კი აქ დარჩენილიყვენ. ამ წამში ხას-მამედოვი და ჯაფაროვი ყაზახიდან განჯაში გაემგზავრებიან, ტელეგრაფის და რკინის გზის მოძრაობას თანდათან ვაღდგენთ, ამისთვის თან მიგვყავს მუშა-მოსამსახურენი. მატარებლები განჯიდან თფილისისკენ მოდის. უკვე წამოვიდა ერთი ეშელონი მოსამსახურებითურთ, ნაწილი მოსამსახურეების ადგილებზე დარჩა. განჯაში რამდენიმე სომეხი ჯარისკაცი მოუკლავთ. იქიდან მოვიდა მუსულმანების დელეგაცია და შემოგვიერთდა ჩვენ. განჯაში შიშიანობაა. ეხლა მივემგზავრებით იქით და იმედი გვაქვს ბოლო მოვუღოთ ასეთ შიშიანობას. ჯავშნიანი მატარებლის ერთი ვაგონი დამტვრეულია. მეორე ვაგონი სად. განჯასთან დგას. პარტიზანთა რაზმის უფროსი აფხაზავა ორი თუ სამი ამხანაგითურთ მოკლულია. რაზმის დანარჩენი რაზმელები განჯაში იმყოფებიან. პირველ შესაძლებლობისთანავე აფხაზავას და სხვა მოკლულთა ცხედრებს თფილისში მოვასვენებთ. ქართული ჯარის ნაწილი, რომელიც ჩვენ გვახლდა, ჩვენთან იმყოფება და ვგზავნით თფილისისაკენ. აქ ვაწყობთ აქსტაფის დაცვის საქმეს. აქსტაფიდან გზატკეცილით გაემგზავრენ ხას-მამედოვი და ჯაფაროვი, რომლებიც თანდათან აღადგენენ რკინის გზის მოძრაობას.

**საგანლუ.** ამიერ კავკასიის საბჭოს წევრნი ალტრანი და ივანოვი პირდაპირი მავთულით 13 იანვარს, საღამოს შემდეგს იტყობინებიან: „სამი დღის წინათ ჩვენ წავედით ეშელონთან ერთათ. გზაზე დელეგაციას ჩამოვრჩით. წინ წავიდენ რამიშვილი და მუსულმანთა დელეგაციის ნაწილი.

1 ეშელონს, რომელსაც უკრაინელები შეადგენდენ, იარაღი არ ავყარეთ.

2, 3, 4, და 5 ეშელონის ნაწილს მუსულმანებმა და ჯავშნიანმა მატარებელმა იარაღი აჰყარა. როცა ჯავშნიანი მატარებელი შეეცადა ბატარეის იარაღის აყრას, ამ უკანასკნელმა ერთი ესროლა ჯავშნიან მატარებელს, რომლის დროსაც მოკლულ იქნა მატარებელის უფროსი აფხაზავა და რამდენიმე ჯარისკაცი. ბატარეიამ მეორეთ ესროლა და ჯავშნიანი მატარებელი დაამტვრია.

შემდეგ ამისა სად. შამხორზე გაიმართა ბრძოლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მუსულმანთა კორპუსმა და მცხოვრებლებმა.

დაჭრილია 200 ჯარისკაცი, რამდენია მოკლული ჯერ არ ვიცით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დაჭრილებზე მეტი უნდა იყოს.

მუსულმანები ამბობენ, რომ გზა-ტკეცილზე მრავალი მოკლულები ყრიან.

ბევრია მოკლული მცხოვრებთაგან. ყველა სადგურები და ახლო-მახლო სოფლები დანგრეულია.

განჯაში დღეს მშვიდობიანობაა. სადგურის დაცვა იკისრა მუსულმანთა ნაციონალურმა კომიტეტმა.

რკინის გზის მოსამსახურეთა ცოლშვილი ზოგი გუშინ წავიდა და ზოგიც დღეს მიდის, თვით მოსამსახურეები ადგილებზე რჩებიან.

გუშინ და დღეს დილით ეშელონებმა მშვიდობიანათ გაიარეს.

მუსულმანთა ნაციონალური კომიტეტი ზომებს მიიღებს გასწმინდოს ქალაქი მოსულ ხალხისგან, რომლებიც ძარცვა-გლეჯას ახდენენ.

სადგურიდან ქალაქისკენ შეიძლება მხოლოდ მუსულმანთა ნაციონალურ კომიტეტის მცველების თანხლებით.

ქალაქის სხვადასხვა ნაწილები ერთი მეორეს მოწყვეტილია.

სად. ევლახის და დალმამედლის მოსამსახურეები ყველანი წასულან მას შემდეგ, რაც მეორეთ გაძარცვეს.

რკინის გზაზე მოძრაობა მეტათ სახიფათოა.

საჭიროა ეშელონების მოძრაობა შეჩერდეს, რომ შესაძლებელი იქნას გუბერნიაში წესიერების აღდგენა.

საგუბერნიო მთავრობას ამის ძალა არ შესწევთ, ხოლო მუსულმანებს იმედი აქვთ თვით საკუთარი ძალით შესძლებენ ამ საქმის მოგვარებას.

ქალაქში იმყოფება დელეგაცია სტრელკოვსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც რამდენიმე კრება გამართა საზოგადო დაცვის კომიტეტთან და სომეხთა და მუსულმანთა ნაციონალურ საბჭოებთან ერთათ. ზიულგადაროვი და მისი შვილი ალლახი მოკლეს. მეხლარი ბეგი და მისი შვილი ცოცხლები არიან.

დელეგაცია რამიშვილის მეთაურობით ეხლა აქსტაფაშია, სადაც ევლახიდან დაბრუნდა. მოდიან განჯაში, დელეგაციაში შედიან: რამიშვილი, არზუმანოვი, პეპინოვი, ჯაფაროვი, ხასმამედოვი, გენერ. შიხლინსკი და ჯაბო განჯინსკი.

აბხაზავა მოკლეს 10 იანვარს.

მაღალოვმა როგორც კი მიიღო ბრძანება, შეეწყვიტათ იარაღის აყრა, დეპეშით სამსახურიდან გადადგომა ითხოვა.

გამოირკვა, რომ დამტვრეულია ჯავშნიან მატარებლის მხოლოდ ერთი ვაგონი, დანარჩენი თფილისისკენ წამოვიდა.

**ტაუზი.** 15 იანვარი. აგრარულმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. მრავალი მემამულე მოკლულია. მოკლულთა გვამებს სწვავენ. მთელი ქონება ცეცხლს მისცეს.

**ბაქო.** 13 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე მოვიდა ეკატერინოდარში სასურსათო ყრილობაზე დასასწრებლათ მიმავალი ამიერ-კავკასიის სასურსათო გამგეობის დელეგაცია. ეს დელეგაცია თფილისიდან ბაქომდე 5 დღე იყო გზაში. გზაში ფეხში დაუჭრიათ დელეგაციის წევრი ჯამალ-ბეკოვი, რომელიც განჯაში დარჩენილა. მძიმეთ დაჭრილა პეტროვსკის განმანაწილებელი ბიუროს გამგე სოკოლსკი. დელეგაციის დანარჩენი წევრები უვნებლათ გადარჩენილან გზაში თათრებთან სხვადასხვა ალაგ შეტაკების დროს. 14 იანვარს დელეგაცია ეკატერინოდარისკენ გაემგზავრა კავკავის რკინის გზით.

**ბათუმი.** წეს-რიგი ნორმალურია. გამვლელ ჯარებს უწესოება არ მოუხდენიათ. რიზეში თავდასხმას და ძარცვა-გლეჯას ჰქონდა ადგილი. ზომები მიღებულია. ადესასთან და სევასტოპოლთან კავშირი არა გვაქვს.

## ახალი ამბები

**აეროპლანები აქსტაფიდან.** 14 იანვარს განჯისა და აქსტაფის რაიონებიდან თფილისში მოფრინდა რამდენიმე აეროპლანი, რომლებმაც სხვადასხვა ცნობები გადასცეს ამიერ კავკასიის კომისარიატს.

✦ **ელექტრონზე მომუშავეთა შორის.** 12 იანვარს მოხდა დელეგატებისა და პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრთა შეერთებული კრება. გაარჩიეს, სხვათა შორის, საკითხი ქუჩების განათების შესახებ. ვინაიდან ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ამ საქმის მოწყობას, პროფესიონალურ კავშირმა დაადგინა გაგზავნოს ქალაქის გამგეობის დასახმარებლათ სამი წევრი, რომლებიც როგორც სპეციალისტები, გაუძღვებიან მუშაობას ტეხნიკურ კომისიას. ვინაიდან კერძო ელექტრონის ნადგურების უმრავლესობა პატრონთა დაუდევრობის გამო მეტათ უმწეო მდგომარეობაშია, კავშირმა საჭიროთ სცნო შესდგეს მუშებისა და მწარმოებლებისაგან შერეული კომისია, რომელიც გამოიმუშავებს ყველა სადგურებისათვის მუშაობის წესს. ამ საკითხის დაწვრილებით განსახილველათ 17 იანვარს, დილის 11 საათზე, დანიშნულია დელეგატებისა და კავშირის გამგეობის წევრთა შეერთებული კრება. კრებაზე მოწვეულ არიან აგრეთვე უფროსი მექანიკები.

✦ **სომეხ-მუსულმანთა ყრილობა.** 14 იანვარს ერევანში მოხდა მუსულმანებისა და სომხების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირმა დაადგინა მოიწვიოს ახლო მომავალში მუსულმანებისა და სომხების შეერთებული ყრილობა.

✦ **ჯარებისათვის საჭირო სურსათის** მიმწოდებელ ცენტ. კომიტეტმა გადასცა კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრს 500 ფუთი ტყავი სამუშაოდან დათხოვნილ მუშებისათვის ანგარიშის გასასწორებლათ.

✦ **დასახიჩრებულ სამხედრო პირთა კავშირი.** თფილისში დაარსდა დასახიჩრებულ სამხედრო პირთა კავშირი. კავშირის სასარგებლოთ შემოწირულება მიიღება გაზ. „ვოზროჟდენიე"-ს კანტორაში (სასახლის ქ. ერისთოვის სახლი) ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე.

✦ **ქართული უნივერსიტეტის** გამგეობას ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ვინაიდან ქართული უნივერსიტეტის გახსნას უაღრესი მნიშვნელობა აქვს და რადგანაც, ჩვენი აზრით, მის შენახვაში მეტის-მეტად ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა საკულტურო დაწესებულებამ, რომელთა შორის კოოპერატივებმა საპატიო ადგილი უნდა დაიჭირონ, ამიტომ „რეგულატორის" კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა: წმინდა შემოსავალი რაც კი ოთხი ათას მანეთს აღემატება მთლად ჩვენი უნივერსიტეტისათვის გადავდოთ. გაუმარჯოს ქართულ უნივერსიტეტს! გამგეობის თავმჯდომარე გაბილაია.

✦ თფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭომ ქართულ უნივერსიტეტს შესწირა 396 მან. 32 კ.

✦ **ქართველ ფარმაცევტთა საყურადღებოთ.** მოვაგონებთ ამხანაგებს, რომ დღეს, 16 იანვარს საღამოს რვა საათზე ძველი სემინარიის შენობაში (ლორისმელიქოვის ქუჩა) ს. ფედერალისტების კლუბში დანიშნულია თფილისში მყოფ ქართველ ფარმაცევტთა მიუხედავათ მიმართულებისა, საერთო კრება ფრიად საყურადღებო საკითხების გასარჩევათ.

✦ **სამგლოვიარო წერილი.** რედაქციამ მიიღო ამხ. კლ. მელაძის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო სამგლოვიარო წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ნიკო ჩიმაკაძე, ი. ჩიმაკაძისა, კ. ხუროძე, ამ. მელაძე.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 5 საათზე, „ახალი კვალი"-ს რედაქციაში დანიშნულია

ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციის კომიტეტის წევრებისა და კონფერენციაზე გასაგზავნათ არჩეულ დელეგატების შეერთებული კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, პირველი სამილიციო უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ვერის წითელ გვარდიელების ასისთავის, ათისთავების და მათი თანაშემწეების საერთო კრება. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველათ დაესწრონ.

## ამიერ კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციების თათბირი

14 იანვარს გაიხსნა საგანგებო თათბირი. თათბირი ნაჩქარევათ არის მოწვეული. დაესწრო ოცამდე ორგანიზაციის წარმომადგენელი დაახლოებით ოცდაათი კაცი. თათბირს თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე. მობილიზაციის საკითხს დაემატა კიდევ ორი ახალი საკითხი: ოსმალეთთან ზავის ჩამოგდება და დამფუძნებელ კრების გარეკასთან ჩვენი დამოკიდებულება. მობილიზაციის და ფრონტის მდგომარეობის შესახებ მომხსენებლათ გამოვიდა ამხ. ნ. ჟორდანია. კრების გაგრძელება მოხდა 15 იანვარს.

ვრცელი ანგარიში დაიბეჭდება თათბირის დასრულების შემდეგ.

## დავით ტარიელაშვილის დასაფლავება

თოთხმეტს იანვარს საბურთალოზე მიწას მიაბარეს ვერაგულათ მოკლულ ამხანაგის, წითელ-გვარდიელის დათიკო ტარიელაშვილის ცხედარი. ცხედარი გამოასვენეს მიხეილის საავათმყოფოდან. ცხედარს თან ახლდა დიდძალი საზოგადოება და ორი ათასამდე წითელი გვარდიელი. სასახლის წინ ცხედარი დაასვენეს, სიტყვები წარმოსთქვეს ე. გეგეჭკორმა, ნ. ელიავამ და ვ. ჯუღელმა; შემდეგ სხვადასხვა პარტიების, ეროვნების და რაიონების წარმომადგენლებმა. სამგლოვიარო მარშის სიმღერით ცხედარი წაასვენეს საბურთალოსკენ. წითელ გვარდიელთა რაიონის წარმომადგენლებმა აღთქმა დაუდო განსვენებულს, რომ მის ცოლ-შვილს უზრუნველს ყოფენ.

კარგი სანახავი იყო წითელი გვარდია, რომელიც, ეტყობა, კარგი გაწვრთნილია და კარგათაც არის შეიარაღებული. ყურადღებას იქცევდა აგრეთვე გვარდიის საერთაშორისო შემადგენლობა— აქ ყველანი იყვნენ: ქართვ., რუს., სომხები, თოთრები და სხ. დასაფლავება მოხდა უღვდლოთ, რაც განსვენებულის ოჯახობის, პოლიტიკურ სიმწიფის მაჩვენებელია.

საფლავზე წარმოითქვა სიტყვები პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ. სხვათა შორის სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კარლო ჩხეიძემ, მან სხვათა შორის სთქვა: ვინ იცის, იქნებ სიმბოლიური მნიშვნელობა ქონდეს თვითმპყრობელობის ჟანდარმის მიერ გამოსროლილ ტყვიას, რამაც დემოკრატიის ერთგული შვილი იმსხვერპლა. სჩანს, რეაქციის სული მოუვიდათ, რომ ეს გაბედეს. პროლეტარები და საერთოდ მთელი დემოკრატია მზათ უნდა იყოს რეაქციონერების იერიშები მოიგერიონო. აღნიშნა განსვენებულის ღვაწლი და იმედი გამოსთქვა, რომ მისი ოჯახს არ მოაკლდება ამხანაგების მზრუნველობაო.

## ამიერ კავკასიის ყველა მუშებს!

ამხანაგებო!

უსახსრობის გამო რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის საოლქო კომიტეტი იძულებული შეიქნა დაეხურა გაზეთი „ბარბა“. ამავე მიზეზების გამო მან ვერ შესძლო გაზეთის გამოცემის საქმე კარგ ნიადაგზე დაეყენებია. ჩვენთვის საჭიროა გვქონდეს გაზეთი რუსულ ენაზე. უასეთგაზეთოთ ბევრი მუშა და ჯარისკაცი მოკლებული იქნება გაიგონ რა ხდება დღეს, გაიგონ პროლეტარული თავისუფალი აზრის ხმა. ეს დღეს უფრო მედგრათ და მკაფიოთ უნდა ისმოდეს, ის უნდა აშუქებდეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ ფაქტს, აშუქებდეს მუშათა ინტერესების თვალსაზრისით და აჩვენებდეს მუშათა კლასს საკუთარ გზას.

მაგრამ არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრების მოვლენების გაშუქებაა საჭირო მუშათა კლასისთვის—დიდებულმა რევოლიუციამ მუშათა კლასი წამოაყენა სხვა მომქმედ ძალებთან ერთათ, და გზა გაუხსნა მას საბოლოო მიზნებისთვის საბრძოლველათ. ამ ბრძოლაში მუშა უნდა გამოვიდეს ყოველ მხრით აღჭურვილი, რადგან ბოლოს ის უნდა გახდეს ცხოვრების ბატონ-პატრონი. ამიტომ საჭიროა მუშა გაცნობილი იყოს არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებასთან, არამედ ის კარგათ უნდა იცნობდეს მეცნიერებას, ხელოვნებას და ლიტერატურას. ამ მხრით დახმარებას გაუწევს მას გაზეთი.

ამ მოსაზრებებით საოლქო კომიტეტმა და მოთავე ჯგუფმა განიზრახეს განაახლონ გაზეთ „ბარბა“-ს გამოცემა. ხოლო ეს გამოცემა უნდა მოხდეს სულ სხვა ნიადაგზე. განზრახულია სამუშაოთ მოიწვიონ ამხანაგი ჟურნალისტები, რომლებიც კარგათ იცნობენ თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას და აგრეთვე მეცნიერებას და ხელოვნებას. გადაწყვეტილია მათი მატერიალურათ უზრუნველყოფა, რომ მთელი შრომა და ენერგია გაზეთს მოანდომონ. გაზეთი გაფართოებული იქნება.

მაგრამ, თუ თქვენ აქტიური მონაწილეობა არ მიიღეთ, ამხანაგებო, ეს ჩვენი განზრახვა განზრახვათ დარჩება და ვერ განვახორციელებთ. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ გაზეთი „ბარბა“ თქვენი გაზეთია და უნდა მოაწოდოთ მას წერილები და ცნობები მუშათა ცხოვრებიდან.

უპირველეს ყოვლისა კი გაზეთისთვის დიდი თანხაა საჭირო.

რომ დავაარსოთ პირველი საგამომცემლო ფონდი, განზრახულია 10 მ. პაის გამოცემა.

ვისაც კი შეგიძლიათ, ამხანაგებო, წაიღეთ ეს პაი და გაავრცელეთ ამხანაგებში. გარდა ამისა, გადაწყვეტილია პარტიის ყოველ წევრს დაავალონ გადაიხადოს ყოველ თვიურად გაზეთის სასარგებლოდ ათი შაური.

ეცადეთ მოაწყოთ გაზეთის დამხმარე ჯგუფები ყველა ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა დაწესებულებებში.

გამოიწერეთ გაზეთი და გახსოვდეთ, რომ გაზეთი ცნობების მხრით მდიდარი იქნება, მას ეყოლება საკუთარი კორესპონდენტები პეტროგრადში და მოსკოვში.

გაზეთი უნდა გამოვიდეს 20 იანვრიდან.

პაის შეძენა შეიძლება თფილისის კომიტეტში (გოლოვინის პროსპ., № 12, ეზოში) და აგრეთვე გაზეთ „ერთობა“ და „ფაიქარი“-ს რედაქციებში. იქვე და რაიონის კოლექტივებში მიიღება შემოწირულებანიც.

შეჰკრიბეთ შემოწირულება გაზეთისთვის! დაეხმარეთ მას!

გაუმარჯოს თავისუფალ პროლეტარულ სიტყვას.

გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდდით!

საინიციატივო ჯგუფი.

## მუშათა წერილები

### ბალშევიკები და მენშევიკები.

I

სოც.-დემოკრატიულ პარტიულ განხეთქილების ისტორია რუსეთში არ ახალია. მისი დასაბამი 1903 წელია, რომელზედაც იჩინა თავი ორმა მიმდინარეობამ, გამხეთქილების მთავარ მიზეზათ წმინდა ორგანიზაციული კითხვები ითვლებოდა; მაგრამ იჩინა თუ არა თავი რევოლიუციამ რუსეთში, პარტიული განხეთქილება თანდათან მწვავდებოდა და ღრმავდებოდა; და ამ გამწვავების მიზეზათ თამამად შეიძლება ჩაითვალოს თვით რევოლიუციის სირთულე და მის მიერ წარმოშობილ კითხვებზე პასუხის გაცემა და ამ რიგათ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა და შესაფერი ტაქტიკის წარმოება. მიუხედავათ ამ ორ ფრაქციის ტაქტიკურ კითხვებში განსხვავებისა, მათ შორის მაინც ბევრი რამ იყო საერთო და ეს საერთო საქმე აერთებდა მათ, ჰქმნიდა მათ შორის რევოლიუციონურ კავშირს მის სასურველათ დასაგვირგვინებლათ. ფრაქციული განხეთქილები წარმოიშვა არა სოც.-დემოკრატიულ პროგრამა-მაქსიმუმის ნიადაგზე, არამედ მინიმუმის განხორციელების საშვალებებზე, მის ბრძოლის ფარგლებში და რამდენადაც ფრაქციული ბრძოლა ამ საზღვრებში სწარმოებდა, იმდენათ ეს ორი ფრაქცია ერთი იდეის, ერთი პრინციპის და მსოფლ-მხედველობის განუყრელი ნაწილები იყვნენ და მათი ღირსება-ნაკლულოვანებები ერთი მეორის დამატება იყო. ასე იყო 1905 წლის რევოლიუციის დროს ვიდრე თებერვლის რევოლიუციამდე. მართალია, იყო მომენტები, როდესაც ეს ორი ფრაქცია ერთმანეთს ეთიშებოდნენ, მაგრამ ასეთი დაშორება ერთი მეორისა მეტათ ხანმოკლე იყო და მას, ასე ვთქვათ, პარტიულ ინტელიგენტურ წრეებში უფრო ჰქონდა ნიადაგი, ვიდრე მასსაში. მასსა, რომელიც ს.-დ. პარტიას მიჰყვებოდა და მის პრინციპებს იზიარებდა, ხშირათ მიმართავდა ხოლმე ზემოხსენებულ ფრაქციათა ინტელიგენტებს, ბოლო მოეღებოდა ურთიერთს შორის განხეთქილებას, პარტიულ მთლიანობის დასუსტებას. მუშათა პარტიულ ამხანაგებს ამით იმის თქმა სრულებითაც არ უნდოდათ, თითქოს ყოველნაირი აზრთა სხვადასხვაობა პარტიაში მოსპობილიყო და ერთნაირი პარტიული ფანატიზმი შექმნილიყო. მას კარგათ ესმოდა, რომ კრიტიკა ურთიერთ შორის აუცილებელი იარაღია შემცდარ ნაბიჯების თავიდან ასაცილებლათ, და ის ჭეშმარიტების აღმოჩენის ერთათ ერთი უტყუარი გასაღებია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მუშები ამა თუ იმ მიმდინარეობისა მეტის თავაზიანობითა და ზრდილობით ეპყრობოდენ ფრაქციულ კამათს და მის წიაღიდან წარმოშობილ ფრაქციულ პრესსა და ლიტერატურას. პარტიულ კრებებზე თუ რომელიმე პროფესიონალურ და კულტურულ დაწესებულებების არჩევნებში მეტათ სამართლიანი და სწორი საზომი იყო მიღებული. მიუხედავათ ფრაქციულ მიმდინარეობისა შესაფერ კანდიდატების წამო ენება და გაყვანა ორივე ფრაქციიდან ისეთი მუშაკებისა, რომელნიც ღირსეულათ შეასრულებდენ თავიანთ წმინდა მოვალეობას,—აი რა ახასიათებდა ბალშევიზმ-მენშევიზმს თებერვლის რევოლიუციამდე. ასეთი კეთილშობილური და ურთიერთის პატივისცემაზე დამყარებული განწყობილება აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მიუხედავათ ტაქტიკურ განსხვავებისა, ორივე ფრაქცია ერთ პრინციპზე—მარქსისტულ ნიადაგზე იდგა და თავგამოდებით იცავდა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ინტერესებს. ბალშევიკების ფრაქციის ლიდერები და თვით ბალშევიზმი სრულებითაც არ იდგენ იმ ნიადაგზე, რომელზედაც დღეს აღგანან, მათ შორის მსგავსების ნასახიც კი არ არსებობს; მაშინდელი ბალშევიზმი ხასიათდება იმით, რომ ის ლამობდა მასსა სტიქიურათ აემოძრავებია და, უკეთ რომ ვსთქვათ, თავის სურვილებისამებრ მოეყვანა ის მოძრაობაში რევოლიუციის გასამარჯვებლად; ის გაურბოდა ისეთ ბრძოლის საშუალებებს, რომელსაც შეეძლო დიდი სამსახური გაეწია რევოლიუციისათვის; ასე მაგალითად, მათ უარჰყვეს თითქმის ყოველგვარი ლეგალური მუშაობა და თავისი მოქმედება არა-ლეგალურ ფარგლებით განსაზღვრეს; მათ ბოიკოტი გამოუცხადეს სახელმწიფო დუმას და შეიარაღებულ „დრუჟინების“ საშუალებით ლამობდენ რუსეთის რევოლიუციის მოხდენას; რაც შეეხება ბურჟუაზიის როლს რევოლიუციაში, მის შესახებ ისინი იმასვე იმეორებდენ, რასაც დღეს: ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონურია, და როგორც ასეთი, საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლა და ამხედრებაო. რამდენათ გაამართლა მათი ტაქტიკა ისტორიამ, ეს მიუდგომელ ისტორიკოსისათვის მიგვინდვია; ვიტყვი მხოლოდ, რომ მიუხედავათ ბოიკოტისტურ ტაქტიკისა, ბალშევიკები იძულებული ხდებოდენ დამორჩილებოდენ ისტორიის მკაცრ კანონებს და ამრიგათ ისინი ულოღიკობაში და წინააღმდეგობაში ვარდებოდენ: დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მათ მიერ დაგმობილ ლეგალურ საშუალებების აღიარება და მისი გამოყენება—აი იმ ტაქტიკის დამარცხება, რომელსაც ისინი იცავდენ; მათი ტაქტიკის დაცვა მხოლოდ თეორიულ სფეროში ხდებოდა, პრაქტიკაში თეორია კი საშინლათ მარცხდებოდა, ასე მაგალითად, მაშინ, როდესაც ისინი სიტყვიერათ ებრძოდენ ლეგალურ მუშაობას, საქმით თავგამოდებით იცავდენ თავის ფრაქციულ ლეგალურ გაზეთს „პრავდას“, რომელიც რეაქციის დროს გამოდიოდა, და რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მუშათა კლასის შეკავშირებას და გათვითცნობიერებას; მაშინ, როდესაც ისინი სიტყვით ებრძოდნენ ლეგალურ პროფ. კავშირების არსებობას, საქმით მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ამ კავშირის არჩევნებში და მის მოქმედებას თავის გავლენასა და იდეიას უმორჩილებდენ; მაგრამ ყოველივე ამ შეცდომების დაწვრილებითი აღნუსხვა და ბალშევიკებ-მენშევიკების შორის ფრაქციული განხეთქილების აღწერა და მოგონება ყოვლად შეუძლებელია. მე იმისი თქმა სრულებითაც არ მინდა, თითქოს ბალშევიზმი მუშათა პარტიაში მავნე მიმართულება ყოფილიყო და მის მოქმედებაში არავითარი დადებითი მხარეები არ იმარხებოდა, პირიქით, როგორც ამ წერილის თავში მოვიხსენიეთ, ეს ორი ფრაქცია, როგორც ეს ამ ოთხი წლის წინათ გამოსთქვა ჩვენმა ბელადმა ანმა, ერთი მეორის შევსება და დამატება იყო. მაგრამ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ სულ სხვა სურათი გადაიშალა ჩვენს თვალს წინ: პირველ ხანებში ფრაქციულ განხეთქილებას ისეთი მწვავე ხასიათი არ მიუღია, როგორც ეს ეხლა არის. ბალშევიკ-მენშევიკები რევოლიუციის პირველ დღეებში ერთნაირის გატაცებით ეწეოდენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მუშაობას და ფრაქციული განხეთქილების ასეთი გამწვა, როგორც ამას დღეს ვხედავთ, ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო; შეიძლება თამამათ ითქვას, რომ სამინისტროს ბურჟუაზიულ ელემენტების შედგენას რევოლიუციის პირველ დღეებში არ გამოუწვევია ფრაქციული განხეთქილება, ვინაიდან სამინისტროს გვერდით დაარსდნენ მძლავრი მუშათა და სალდათთა საბჭოები, რომელნიც თავისი ძლიერი გავლენით უკარნახებდენ სიმინისტროს თვის დემოკრატიულ ლოზუნგებს. თვით ბალშევიკ. ლიდერმა სტეკლოვმა ვრცელი მოხსენება გააკეთა მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოში სამინისტროს შედგენის შესახებ და დაასკვნა: სოციალისტური სამინისტროს შედგენა კაპიტალისტურ ხანაში, რომელიც მოწოდებულია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივი საქმეების გასაკეთებლათ, პროლეტარიატისათვის შეუსაბამო და დამღუპველი იქნება და ამისთვის საჭიროთ აღიარებდა მუშათა და სალდათთა საბჭოების გავლენის გაძლიერებას სამინისტროზე და ასე რევოლიუციონურ დემოკრატიის განმტკიცებას და მის ნაყოფიერ მოქმედებას. ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავათ იმისა, რომ სამინისტრო ბურჟუაზიულ იყო, მუშათა და სალდათთა საბჭოების მტკიცე კავშირის მეოხებით ეს უკანასკნელი იძულებული იყო ანგარიში გაეწია დემოკრატიის მოთხოვნილებისათვის და მისი ლოზუნგები მიეღო; ეს იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ რევოლიუციონური დემოკრატია მთლიანი და განუყოფელი იყო. ბურჟუაზიას სრულებითაც არ სურდა რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება, მისი მიზანი იყო ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის მიერ ნაანდერძევ სახელმწიფოებრივ ეკონომიურ არევ-დარევის მოწესრიგება, მონარქიულ კონსტიტუციის დამყარება, რომლითაც ის შესძლებდა ომი ეწარმოებინა მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად. აშკარაა, მისი მიზანი წმინდა იმპერიალ. იყო ღ ეს აშკარათ გამოსჭვიოდა მილიუკოვის ნოტაში მოკავშირე სახელმწიფოების მიმართ, რასაც შედეგათ მოჰყვა პეტროგრადისა და სხვა ცენტრალურ ქალაქების პროლეტარიატის ამოძრავება ბურჟუაზიის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ნოტა სრული უარყოფა იყო იმ დიდებულ და ისტორიულ მანიფესტისა, მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოებმა რომ მიმართეს 14 მარტს მთელ მსოფლიოს დემოკრატიას. ბურჟუაზიამ მილიუკოვის მეთაურობით დასტოვა სამინისტრო, რადგანაც იგრძნო თავისი სისუსტე, ხოლო დემოკრატიის სიძლიერე. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თითქოს ის სამუდამოთ ხელს აიღებდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის წარმოებაზე, ასეთი შეხედულება ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, ეს მხოლოდ ერთნაირი ხრიკი იყო ბურჟუაზიისა, რომლითაც ის ლამობდა დროებითი მხოლოდ მიეტოვებია სამინისტრო, სახელმწიფოს ეკონომიური არევ-დარევის მოუწესრიგებლობა ღ მისი ხელის შეშლა პროლეტარიატისათვის გადაებრალებია, საზოგადოების ერთი ნაწილის თანაგრძნობა დაემსახურებია, ის დემოკრატიის მეორე ნაწილის წინააღმდეგ აემხედრებია და ეშვა ხელსაყრელი დრო სახელმწიფოს სათავეში მოქცეოდა; და მან ამ მიზანს თითქმის სავსებით მიახწია, რაც გამოიხატა კოალიციურ სამინისტროს შედგენაში. კოალიციურ სამინისტროს შედგენის ღღიდანვე იწყება რევოლიუციონური ცეცხლის განელება და მის მიერ წამოყენებულ ლოზუნგების განხორციელების გაჭიანურება და მისი თითქმის დავიწყება. რუსეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებული უდიდესი მოთხოვნილება, რომელზედაც დამყარებული იყო დემოკრატიის მთელი იმედები და ურთულესი კითხვების ომისა და ზავის საკითხის გადაჭრა—დამფუძნებელი კრების მოწვევა—არა ერთხელ გადაიდო, რომელმაც საბაბი მისცა ბალშევიკებს დემაგოგიურ აგიტაციის გაწევის და აჯანყების მოწყობის, რომელსაც შემდეგ შევეხებით.

კ. კილაძე.

## მოსალოდნელი გაფიცვა.

(ბეჭდვითი საქმის მუშათა საყურადღებოთ).

როგორც ვიცით, ამ სამი თვის წინეთ ბეჭდვითი საქმის მუშათა პროპესიონალურმა კავშირმა შეიმუშავა ტარიფი და საზოგადო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ იგი წარდგენილ იქნა ბეჭდვითი საქმის „ხაზეინების“ კავშირში. მადაგანვითარებულმა „ხაზეინებმა“ ჯერ კიდევ მაშინ ამ ტარიფის დაკმაყოფილებაზე უარით გვიპასუხეს და მოითხოვს რამდენიმე მუხლის შეცვლა ტარიფში. არა თუ ჩვენ გვთხოვეს, „ხაზეინებმა“ თავიანთის ნებით, ჩუმათ ბეჭდვითი საქმის კავშირის და შრომის კომისარის შეუტყობინებლათ უკვე შეთანხმებულ ხელშეკრულ პირობაში ცვლილება მოახდინეს და იგი წარმოუდგინეს ჩვენს კავშირს ხელის მოსაწერათ. „ხაზეინების“ ასეთი თვალთმაქცობა დროზე იქნა გაგებული და სწორეთ ჩვენი პირველი გაფიცვაც ამით იყო გამოწვეული, რომელიც მუშების სრულს გამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენ პირველ ტარიფში აღნიშნული გვაქვს, რომ ტარიფს ვადა გადის 29 დეკემბერს, 1917 წელსა. ესე იგი, ჩვენი ტარიფი ძალაში რჩებოდა მხოლოდ სამი თვის განმავლობაში, რაზედაც რა თქმა უნდა „ხაზეინებიც“ დაგვეთანხმდენ, ტარიფს ვადა გაუვიდა. ამ სამი-ოთხი თვის განმავლობაში ცხოვრება კიდევ უფრო გაძვირდა. დღე და დღე ყველაფერზე ფასი მაღლა და მაღლა იწევს. არა თუ ჩვენი ტარიფის და ხელშეკრულების ძალით, ვადა რომ კიდევ რამდენიმე თვით შორს ყოფილიყო, მაინც იმ ჯამაგირით ცხოვრება, რომელიც ტარიფში გვაქვს ნაჩვენები, ყოვლად შეუძლებელი შეიქნა და მაშასადამე, პროფესიონალურ კავშირს ამისთვის დროზევე უნდა მიეღო ზომები. კავშირი ასეც მოიქცა. ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა როგორც ვიცით, 31 დეკემბერს 1917 წ. საზოგადო კრება მოიწვია და მას წარუდგინა ახალი ტარიფი. საზოგადო კრებამ ტარიფი მცირეოდენი შესწორება-დამატების შემდეგ დაამტკიცა და იქვე ამოირჩია კომისია, რომელიც ამ ტარიფს „ხაზეინების“ კავშირს გადასცემდა და მის ცხოვრებაში გატარებას ხელს შეუწყობდა. ტარიფი ხაზეინების კავშირს გადაეცა 8 იანვარს 1918 წელს. საპასუხო ვადა თხუთმეტი იანვარი იყო. პასუხიც ჩქარა მივიღეთ: განვიხილეთ რა თქვენ მიერ რვა იანვრის თარიღით წარმოდგენილი ახალი ტარიფი, ხაზეინების კავშირმა იგი სრულიათ უარყოო. ასეთია პასუხი „ხაზეინებისაგან“ ჩვენს ტარიფზე, არც მეტი, არც ნაკლები. აქ აღსანიშნავია შემდეგი: პირველ ტარიფში „ხაზეინებმა“ რამდენიმე მუხლის შეცვლა მოითხოვეს, ხოლო ახალი ტარიფი სრულიად უკუაგდეს. მიზეზი ამისი აშკარაა. პირველ ტარიფში ჯამაგირები სულ მცირე იყო წამოყენებული და „ხაზეინების“ ჯიბეებს ამით მაინცა და მაინც დიდი არაფერი აკლდებოდათ. ახალ ტარიფში ნაჩვენები ფასები ასე თუ ისე უახლოვდება ზოგიერთ სანოვაგეზე დადებულ ფასებს. ამ ახალ ტარიფის საშუალებით შესაძლებელი ხდება მუშამ დაიკმაყოფილოს ზოგიერთი პირველი მოთხოვნილებანი, ან კი რა გასაკვირველია, ამ რევოლიუციის და მაშვრალთა დღესასწაულში მრავალ წელს ჩაგრული და გვემული, ეკონომიურათ დედამიწასთან გასწორებული მუშა წელში გამართვას რომ სცდილობდეს! რა თმა უნდა მხოლოდ ხალხის მტერი ვერ შეურიგდება ამას. ამიტომაც არის მადა-გაღვიძებული, ათასობით მოგებას მიჩვეული „ხაზეინები“ ვერ ურიგდებიან მუშების ასეთ მოთხოვნილებას, და მკვახეთაც გვიპასუხებენ: თქვენს მოთხოვნილებას ვერ დავაკმაყოფილებთო.

ამის გამო ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ კვირას, 14 იანვარს, მოიწვია გამგეობის არა ჩვეულებრივი კრება. გამგეობამ ბევრი იმსჯელა „ხაზეინების“ ამგვარ პასუხზე და ბოლოს ერთხმად დაადგინა: მუშათა კლასი ყოველთვის ბრძოლით იპოვებდა თავის ეკონომიურ თუ პოლიტიკურ უფლებებს. ხაზეინების ასეთი პასუხი სწორეთ აქეთ მოგვიწოდებს. ამიტომ ვატყობინებთ რა თფილისის გუბერნიის შრომის კომისარს, პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს, ოთხშაბათს, 17 იანვარს, დილის 10 საათზე, ვიწვევთ საზოგადო კრებას ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის წევრებისას.

მიხ. თამაზაშვილი.

P. S. ამასთანავე ვატყობინებთ ამხანაგ მუშებს, რომ ოთხშაბათს დილით სამუშაოზე უნდა გამოცხადდენ და მხოლოდ 10 საათზე უსათუოთ უნდა წამოვიდენ საზოგადო კრებაზე, რის ბინაც ცალკე ეცნობებათ ყველას.

რა გზას დაადგება საზოგადო კრება, ეს ოთხშაბათს გამოირკვევა. მ. თ.

## კაპიტალიზმის აღორძინება და იმპერიალისტური ლტოლვილებანი გერმანიაში

(გაგრძელება).

გერმანიის იუნკრები, სანამ იმათ გაჰქონდათ სამეურნეო ნაწარმოები საზღვარგარეთის ბაზარზე, მთელი თავისი არსებით იცავდენ თავისუფალ ვაჭრობის პრინციპს, რომ იაფათ ჰქონოდათ რკინის და ფოლადის ნაწარმოები და მასთანავე თავისუფალი საზღვარგარეთელი ბაზარი თავისი სამეურნეო ნაწარმოებისთვის. მაგრამ მრეწველობის განვითარებასთან ერთად კლებულობს რიცხვი სოფლის მცხოვრებთა, რომელნიც მიისწრაფეიან სამრეწველო ცენტ. ამავე დროს სამეურნეო ნაწარმოების მოთხოვნა სამრეწველო მცხოვრებთა მხრივ მატულობს, მატულობს მათი შემოტანაც. 1873 წ. ხორბლეულობის შემოტანა საზღვარგარეთის ბაზრიდან ბევრათ აღემატება გაზიდვას. შემოტანის ზრდასთან ერთად ეცემა პურის ფასი, რაც ემუქრება მეტად გადაჭარბებულ მიწის რენტას. და აი იუნკრები გადაიქცენ უკიდურეს დამცველებათ საბაჟო ტარიფების სამეურნეო ნაწარმოებზე. სამრეწველო კლასმა მხარი დაუჭირა მემამულეთა მოთხოვნას, როგორც ერთ დროს ამ უკანასკნელებმა მხარი დაუჭირეს ბაჟის შემოღებას მრეწველობაზე. მფარველობითი სისტემის შემოღებაში დაინტერესებული იყვნენ არა მარტო მემამულენი და მსხვილი მრეწველები, თვით მთავრობაც.

1870—71 წ.წ. საფრანგეთთან ომის შემდეგ, გერმანიის მთავრობამ იწყო არმიის და ფლოტის გაძლიერება, რასაც აუარებელი ფული სჭირდებოდა. მილიტარისტულ მიზნებისთვის დაწესებული გადასახადი უკვე საკმაო არ იყო. საჭირო იყო შემოსავლის ახალ-ახალი წყაროების გამოძებნა. და ასეთ წყაროთ გახდა საბაჟო ტარიფი. საბაჟო ტარიფის ზრდა გერმანიაში დაეტყო 1879 წ. და ამან პირველ წელსავე სახელმწიფოს ერთ მილიონზე მეტი წმინდა შემოსავალი მისცა. ამ წლის შემდეგ საბაჟო ტარიფიდან შემოსავალი დღითი-დღე იზრდება და ეს შემოსავალი სავსებით მილიტარიზმის გაძლიერებას ხმარდება, რომლის ხარჯი საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ დაახლოვებით ერთ მილიარდ ფრანკს უდრიდა წელიწადში.

რასაკვირველია საზღვარგარეთ გაზიდულ საქონელზე ფასის დაკლებას აქვს ერთგვარი საზღვარი და ეს საზღვარი მდგომარეობს საბაჟო ტარიფის რაოდენობაში. თუ კი საბაჟო ტარიფი დიდია მაშინ საქონლის გაყიდვა შინაურ ბაზარზე შეიძლება დიდ ფასებში. სამაგიეროთ, ძლიერ დაწეულ ფასებში შეიძლება ამ საქონლის გაყიდვა საზღვარგარეთის ბაზარზე. როგორც ვხედავთ, მრეწველები დაინტერესებული არიან არა მარტო საბაჟო ტარიფის შენახვაში, არამედ მის ზდაში, **რამდენათაც დიდია საბაჟო ტარიფი, მით უკეთესი!** აი ლოზუნგი თანამედროვე პროტექციონისტების. ამ რიგათ პროტექციონიზმი, რომელიც მრეწველობის განვითარების პირველ საფეხურზე იცავდა შინაურ მრეწველობას გარეშე კონკურენციისაგან, გადაიქცა შეტევის იარაღათ.

ამ უკანასკნელ წლებში ის „სამშობლო“ მრეწველობას ექსპლუატაციის უშვერება, რომ გარეშე ბაზარი ხელში ჩაიგდოს. **წინეთ პროტექციონიზმს დროებითი და გარდამავალი ხასიათი ჰქონდა, დღეს კი ის გადაიქცა მუდმივ ინსტიტუტათ.** მასთანვე ექსპორტის მუდმივ ფაქტორათ.

მაგრამ საზღვარ-გარეთის კონკურენტების განდევნას საქონელზე დაწეულ ფასების წყალობით აქვს თავისი საზღვარი, ეს შესაძლოა სანამ საზღვარგარეთის კონკურენტები არ გადადგამენ იმავ „კეთილ შობილ“ ნაბიჯს.

როცა კი მსგავს ზომას მიმართა მეტოქე სახელმწიფოების გაბატონებულ კლასებმა, მაშინ გერმანიის მრეწველებმა თავის მთავრობას ძალა დაატანეს იარაღის საშუალებით ხელთ ეგდო ახალი ბაზრები. ბისმარკი მთელი თავისი არსებით იბრძოდა სახალშენო შეძენის წინააღმდეგ. ის დარწმუნებული იყო, რომ კოლონიალური (სახალშენო) დაპყრობა ხელს არ უწყობს მრეწველობის ზრდა-განვითარებას. გარდა ამისა, ბისმარკმა იცოდა, რომ კოლონიალური პოლიტიკის წარმოება ადრე თუ გვიან გამოიწვევდა ინგლისთან შეტაკებას, ეს კი ბისმარკის ღრმა რწმენით გერმანიისთვის დამღუპველი იქნებოდა. მაგრამ ცხოვრება უფრო ძლიერი შეიქნა, ვინემ ბისმარკი. ევროპის ბაზარზე გაბატონებით მრეწველ ბურჟუაზიას მადა აუთამაშდა. ამა თუ იმ სახით ის აგიტაციას ეწეოდა კოლონიალური დაპყრობის სასარგებლოთ, როგორც გაზეთის ფურცლებზე, ისე კრებებზე, ცალკე წიგნაკებში და მეცნიერულ დიდ წიგნებში. და აი გერმანიის მთავრობა სამრეწველო მაგნატების მოთხოვნის წინაშე ქედს იხრის და კოლონიების ძებნას იწყებს. ასეთ დათმობის გზაზე მთავრობა მით უფრო დგება, რომ მას საშვალება ეძლევა დემოკრატიის ყურადღება შინაურ პოლიტიკიდან საგარეო პოლიტიკაზე გადაიტანოს.

მაგრამ გერმანიის, როგორც კოლონიალური სახელმწიფოს გამოსვლა, მოხდა გვიან. პირველი კოლონიალური ავანტიურა იწყება 1884 წლიდან, ე. ი. იმ დროს როცა დედამიწის საუკეთესო ადგილები უკვე გადაყლაპული ქონდა ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის მსხვილ ბურჟუაზიას. აფრიკასა და აზიაში კიდევ რჩებოდა ასე თუ ისე საკმაო ლუკმა, რომლის ხელში ჩაგდებას გერმანიის იმპერიალისტები შესძლებდენ. უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში გერმანიამ შეიძინა საკმაო ადგილები დასავლეთ აფრიკაში, კამერუნში, ტოგოში, აღმოსავლეთ აფრიკაში, ხელთ იგდო მთელი რიგი კუნძულებისა: ბისმარკის არქიპელაგი, კამერუნის, მარინის კუნძულები. 1907 წ. დაიპყრო კიაო-ჩაო, ჩინეთის საუკეთესო ნავთსადგური და სხ. 1914 წ. ე. ი. ომის დაწყების წინ გერმანიას ეპყრა კოლონიები, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 12 მილიონს აღემატებოდა. ვაჭრობის მხრივ გერმანიის კოლონიებს მცირე მნიშვნელობა აქვს: „გერმანიის მთელი ექსპორტი 1895 წ. უდრიდა 3.753.8 მ. მარკას. აქედან დასავლეთ-აფრიკის კოლონიებზე (კამერუნი, ტოგო, აფრიკის სამხრეთ-დასავლეთი) მოდიოდა მხოლოდ 5 მ. მ., აღმოსავლეთ აფრიკის კოლონიებზე 1,5 მ. მ., გერმანიის ახალ-გვინეაზე დაახლოვებით 2.830 მ. მ. სამაგიეროთ, ზედმეტი ხარჯი, რომელსაც ეწევა სახელმწიფო ამ კოლონიებში მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლათ 1897—1898 წ.წ. ანგარიშით უდრის 8.044.000 მარკას, ე. ი. აღემატება ამ კოლონიებში ექსპორტის მთელ ჯამს“.

თუ ასე იყო გერმანიის კოლონიების ვაჭრობის განვითარების საქმე ამ 15 წლის წინეთ, მას შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა. 1913 წ. გერმანიის მთელი ექსპორტი სხვა ქვეყნებში უდრიდა 10.770,1 მ. მარკას, აქედან გერმანიის ექსპორტი დასავლეთ აფრიკაში, აღმოსავლეთ აფრიკაში და სხ. მთელი ექსპორტის ნახევარ პროცენტსაც არ შეადგენდა. აქედან ცხადზე უცხადესია, რომ გერმანიის კოლონიები სულაც არ უწყობენ ხელს გერმანიის ვაჭრობის განვითარებას. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიის ექსპორტი ინგლი-

[illegible]

რო ძლიერდება მას შემდეგ, რაც სამრეწველო კაპიტალი ხდება დამოკიდებული საფინანსო კაპიტალისაგან. მრეწველობის განვითარება, მისი ინტერესი არ თხოულობს ახალშენის შეძენას. მეტსაც ვიტყვით, ის ხელს უშლის მის განვითარებას, ის მხოლოდ ეძებს შიდა და გარეშე ბაზარს საქონლის გასასაღებლათ. წინააღმდეგ ამისა, საფინანსო კაპიტალისთვის ტერიტორიალური დაპყრობა, სასიცოცხლო საკითხს შეადგენს. ამ აზრის დასამტკიცებლათ მოვიგონოთ თუნდაც ის, რომ ყველა საახალშენო ომები წინა ეპოქებში, როგორც მაგ. პორტუგალიის, ისპანიის, ჰოლლანდიის და ინგლისის ხდებოდა მსხვილ ფინანსისტთა ინტერესებისთვის. ამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში საფინანსო კაპიტალი შეიპყრა მსხვილ მრეწველობის ყველა დარგებში. თუმცა გერმანიაში არსებობს 54 დიდი ბანკი, მაგრამ ფაქტიურათ მთელი საბანკო საქმის სათავეში დგას 6 უდიდესი ბანკი.

ეს ბანკები ემსახურება გერმანიის შინაურ მრეწველობას და აგრეთვე იმ საწარმოვო დაწესებულებებს, რომელნიც საზღ.-გარეთ აქვს გერ, მაგრამ საფინ. კაპიტალის შეჭრა მსხვილ სამრეწ. დარგებში მოხდა არა ჩვეულებრივი კრედიტის ფორმით. ბანკებმა ამა თუ იმ სახით დაიმორჩილეს მრეწველობა. ბანკის წარმომადგენელი ხელს უწყობს მრეწველობის საქმეს და მასთანვე ხდება ადმინისტრატიულ მრჩევლათ ამ დაწესებულებაში. ხდება ხშირათ ისიც, რომ მრეწველობის წარმომადგენლები ბანკებს განაგებენ.

ი. სალაყაია.

(შემდეგი იქნება)

# რუსეთის ამბები

**რუსეთის ფინანსიური მდგომარეობის** შესახებ „კიევსკაია მისლის" თანამშრომელს უსაუბრია მოსკოვის ბანკების გამოჩენილ მოღვაწეებთან. ქვეყნის ფინან. მდგომარეობა მათის თქმით დანგრეულია, კერძოთ კი, ცუდათაა ბანკების საქმე. ბალშევიკების დეკრეტების გამოსვლისთანავე ხალხი ბანკებს მიაწყდა და გაჰქონდათ შენახული ფულები, შესანახად კი ფული არ მოჰქონდათ ბანკებში. მარტო მოსკოვის ბანკებიდან გატანილ იქნა 500 მილიონ მანეთზე მეტი. ბანკების ბალშევიკების მიერ ხელში ჩაგდებამდეც მდგომარეობა კრიტიკული იყო. ამ მოვლენამ კიდევ უფრო არივ-დარია საქმე. უკეთუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ამ დარგს უეჭველად სიკვდილი მოელის. ახლაც ბევრი დიდი ფირმები ვერ ასრულებენ ვალდებულებას, თუ ბანკებს საშვალება მიეცემა ასე თუ ისე ნორმალური მუშაობისა, რაც ძალიან საეჭვოა ამ ჟამად, მდგომარეობა მაინც კრიტიკული იქნება. ბანკებს მოთხოვნებს დიდს წარმოუდგენენ, ფულს კი არავინ შემოიტანს მრეწველობის დაცემის, საინტენდანტოს დავალიანების და სხვა მიზეზების გამო. ბანკირების აზრით, ფულის მოთხოვნილება დიდი იქნება. ფული თავს მოიყრის კერძო პირთა ხელში, რაც კიდევ უფრო დასცემს ფულის ფასს. ამ მოვლენამ უკვე იჩინა თავი და კიდევ უფრო განვითარდება. ზავის ჩამოგდება და მასთან შეკავშირებული ახალი სავაჭრო ხელშეკრულობანი რუსეთის მრეწველობისა და ფინანსებისათვის თავზარდამცემი იქნება. ბევრ საქონელს გერმანია ვერ მოგვცემს. განსაკუთრებით ვერ მოგვცემს ისეთ საქონელს, რომელიც ჩვენ არ მოგვეპოვება. გერმანიას არ აქვს არც ბამბა, არც ლერწამი, არც მატყლი და არც ლითონი. ჩვენი მრეწველობისა და ფინანსების დამოუკიდებლათ აყვავების შესახებ ოცნებაც კი ზედმეტიაო, უთქვამთ ბანკირებს.

— **ანარქისტები რუსეთში.** ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთში მრავლად იჩინეს თავი ანარქისტებმა, რომელთა შორის ბევლი ამერიკიდან გადმოვიდა. ეს „ანარქისტ-სინდიკალისტები" ენერგიულ მუშაობას შეუდგენ. მათ დაიწყეს პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნებში აგიტაცია. მათი აზრით რევოლიუციის ახლობელი მიზანია რუსეთის სრული დეცენტრალიზაცია. სოციალურ რევოლიუციის დამყარებით. ანარქისტები ბალშევიკების „ხრიკებს" ამჟღავნებენ, მათ ბრალს სდებენ, რომ უნდათ ცენტრალური სახელმწიფო მთავრობის შექმნა. ანარქისტები უმთავრესათ იმაში სდებენ ბრალს ბალშევიკებს, რომ მათ, გარდა სოციალისტურ პროგრამა „მაქსიმუმისა", აქვთ კიდევ პროგრამა „მინიმუმი". გარდა ამისა, ბალშევიკებმა, იმის მაგიერ, რომ მთელი წარმოება დაუყოვნებლივ მუშებისთვის გარდაეცათ, დააწესეს წარმოებაზე კანტროლი; იმის მაგიერ, რომ ყველა მიწები დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ, განზრახვა აქვთ გარდასცენ სადგილ-მამულო კომიტეტებს.

ანარქისტების აზრით ცენტრალურ მთავრობის შექმნით ბალშევიკებმა თვითმოქმედების უნარი წაართვეს მასსას და მით შეაჩერეს რევოლიუციის მსვლელობა. ანარქისტები ამბობენ, რომ თითქოს სოციალური რევოლიუცია უკვე გათავდა და ადგილობრივ რევოლიუციონურ კომუნების მოწყობის დრო დადგაო. ჯარების ნაწილებში ანარქისტების პროპაგანდამ ჯერ-ჯერობით ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა ჯარისკაცებს ძალიან მოსწონთ ის აზრი, რომ უფროსები არჩეულნი იქნებიან, რადგან არა არჩეულ უფროსს უფლება აქვს ბრძანების. ანარქისტები ბალშევიკებივით ოცნებობენ, რომ მათი პროპაგანდა მთელ ევროპის ქვეყნებს მოედება და კომუნისტური რევოლიუცია მთელ მსოფლიოზე მოხდება.

# სოც.-დემ. პარტიაში

**ტფილისი.** პირველი რაიონის კოლექტივის კრება შესდგა 12 იანვარს ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით. პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. ბახტაძე, მის თანაშემწეთ—ნინუა და ცირკვაძე, მდივნათ—ამხანაგი კვაჭაძე. კოლექტივის კრება უნდა მოხდეს კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით, საღამოს 5 საათზე; თუ ვინმე უმიზეზოთ სამ სხდომას არ დაესწრო, ის კოლექტივის წევრობიდან გაირიცხება. ბიუროს ბინის შესახებ კრებამ აირჩია კომისია ოთხი პირებისაგან შემდგარი, რომელსაც ევალება კიოსკის აშენების ხელმძღვანელობა.

ორკესტრის შესახებ ამხ. ჩიქოვანმა განაცხადა, რომ არის „ინსტრუმენტები", რომლებიც საჭიროებენ შეკეთებას და თან არის 500 მანეთამდე თანხა შეგროვილი შესაკეთებლად. საჭიროდ სცნობს ამ თანხის გადადებას. კრებამ ერთხმათ მიიღო ამხ. ჩიქოვანის განცხადება.

შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა მობილიზაციის შესახებ. ამხანაგ გ. ბახტაძემ მოკლეთ გააცნო კრებას თანამედროვე კრიტიკული პირობები და დაუხატა მას, თუ რა პირობებში და რა მიზნით უნდა მოხდეს მობილიზაცია. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში თანამედროვე ცხოვრების კრიტიკულ პირობებს და მოსალოდნელ საფრთხეს ყოველი მხრიდან, ჩვენ აუცილებლათ ვსცნობთ მობილიზაციას 19—30 წლიანებისა სამშობლოს და რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებების დასაცავად.

კრება შეეხო რუსთა ნაციონალურ საბჭოს შესახებ განცხადებას და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა შემდეგი: აცნობოს ამხანაგ მენშევიკ რუსებს, რომ კვირას აუცილებლივ დაესწრან რუსთა ნაციონალურ კრებას, სადაც უნდა აირჩიონ თავიანთი დელეგატები საერთო ამიერ-კავკასიის რუსთა ნაციონალურ კონფერენციაზე გასაგზავნათ, რომელიც გაიხსნება 27 იანვარს. კრებამ კანდიდატებათ დანიშნა შემდეგი პირები: კუდრიავცევი, გნოევი, გრაჩოვი, ლაპკინი, როდიჩევი, მარკევიჩი, ივანოვი, ნუიკინი, ბუშკინი და ფიში. კასსირათ არჩეულ იქნა ამხ. ჩიქოვანი.

X.

11 იანვარს ბიუროს ბინაზე შესდგა რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: საზოგადო კრების მოწვევა, პარტიული კლუბი, პარტიული გაზეთების გავრცელება, იდეიური მუშაობა და სხვა.

ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნული იყო ყველა კოლექტივების შეერთებული კრება და რადგანაც 7 საათამდე ყველა საკითხების განხილვა არ მოესწრებოდა, ამიტომ კრებამ განიხილა მხოლოდ პირველი საკითხი, დანარჩენი კი შემდეგი კრებისათვის გადასდო. პირველი საკითხის შესახებ (საზოგადო კრების მოწვევა) კრება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რადგანაც მომავალ საზოგადო კრებაზე უნდა მოხდეს სრული რეორგანიზაცია, როგორც კოლექტივის ისე, კომიტეტისა, მოწვეულ იქნას, 17 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე, მეორე რაიონის მცირე კოლექტივების შეერთებული კრება და მათთან ერთად გამოიმუშაოს საზოგადო კრების დღის წესრიგი. კრებამ გადასწყვიტა მოიწვიოს მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება კვირას, 21 იანვარს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში. კრებამ დაავალა კოლექტივის წევრთ მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა პარტიის წევრებმა 20 იანვრამდე აუცილებლად გამოსცვალონ პარტიული ძველი წიგნაკები ახლებზე, რადგანაც ძველი წიგნაკებით ბევრ ამხანაგს არ გადაუხდია საწევრო გადასახადი და ასეთ წევრს კი კრებაზე არ დაუშვებენ.

ხანდალა.

**ქ. ოზურგეთი** მეთორმეტე საინჟენერო დრუჟინის დაშლის გამო სოციალ-დემოკრატიული მუშათა ჯგუფის მოქმედებაც შესწყდა, რადგანაც მუშები თავთავიანთ სახლებში წავიდენ. ყოველივე ხარჯების გასწორების შემდეგ კასაში დაგვრჩა 254 მან. 65 კ., რომელსაც მ. ფირცხალაიშვილის და ი. დოლიძის ხელით ვგზავნით ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის განკარგულებაში.

ა.

# მუშათა შორის

9 იანვარს შესდგა ტფილისის რკ. გზ. კონდუქტორთა ს. დ. მ. პ. წევრთა კრება. კრება გაიხსნა საღამოს 5 საათზე. კრებას დაესწრო ერთი მესამედი ადგილობრივ პარტიის წევრთა. (სულ 400 წევრია). თანამედროვე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ნესტორ პარჯანაძემ. მან დამსწრეთ გააცნო ახლანდელი მდგომარეობა და მოუწოდა ამხანაგებს მხარი დაუჭირონ დროებით ამიერ კავკასიის მთავრობას და სრულ უფლებიან მთელი რუსეთის დამფუძნებელ კრებას. სხვა ორატორებმაც ილაპარაკეს დღევანდელ ვითარებაზე. კრება სრულ ნდობას უცხადებს ამიერ კავკასიის დროებით მთავრობას და მხარს უჭერს სრულ უფლებიან მთელი რუსეთის დამფუძნებელ კრებას. რკ. გზ. კონდუქტორები ყოველივე ღონის ძიებას ვიხმართ დავიცვათ სრულ უფლებიანი დამფუძნებელი კრება. ასეთი რეზოლიუცია მიიღო კრებამ.

ე. ვ.

**ტფილისი.** 12 იანვარს მოხდა ტფილისის საქონლის სადგ. მუშების შეერთებული კრება. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ერმალო ორმოცაძე, მდივნათ გ. ღლონტი. თავმჯდომარემ გააცნო მუშებს დღევანდელი მდგომარეობა და მოუწოდა შეკავშირებისაკენ, რომ ფხიზლათ იყვენ და თვალყური ადევნონ ირგვლივ მომხდარ ამბებს, მიუხედავათ იმისა, რომ ტფილ. საქ. სადგ. მუშები ეკონომიურათ დიდ გაჭირვებას განიცდიან. თავმჯდომარემ კრებას აუხსნა დღევანდელი საშიშარი მდგომარეობა და მოუწოდა ყველას, დაეცვათ თავისუფლება. მუშების ყურადღება მან მიაქცია იმ გარემოებისაკენ, რომ ამ ბოლო დროს თავი წამოყვეს დემოკრატიის აშკარა და მალულმა მტრებმა და ირაზმებიან თავისუფლების წინააღმდეგო. თქვენი ვალია თვალ-ყური ადევნოთ ამათ შავრაზმულ გამოსვლებსო. იყო შეკითხვები. შემდეგ თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება პროფესიონული კავშირის შესახებ, როგორც სარევიზიო კომისიის წევრმა, გამოირკვა შემდეგი კასის ანგარიშები: კავშირის მოქმედების დაწყებიდან შემოსულა საწევრო და შესასვლელი—12 ივნისიდან 1 აგვისტომდე—1078 მან. 50 კაპ.

სხვადასხვა დარჩენილი ფულებიდან შედგა 315 მან. და 50 კაპ. ამ ხნის განმავლობაში ხარჯები ყოფილა 198 მან. 28 კ. კასაში დარჩა ნაღდი ფული 1195 მან. 72 კაპ.

კავშირს აქვს 120 მანეთამდე ღირებული ინვენტარი.

აგვისტოდან 2 დეკემბრამდე შემოსულა საწევრო და შესავალი გადასახადი ტალონებიდან 1000 მ. და 378 მან. კერძო სხვადასხვა შემოსავალი 405 მ. და 33 კ. სასურსათო თანხიდან შემოსულა 173 მ. 45 კ. ძველი იყო კასაში 1195 მან. 72 კ. სულ მთელი შემოსავალი არის 3826 მ. 25 კ. ხარჯები არის 1 აგვისტოდან 465 მ. 15 კ. ნაღდათ კასაში რჩება 3361 მ. 27 კ.

ს. ქ.

# ავლაბარი

ერთ-ერთი დაწესებულება, რომელშიაც მუშა ხალხი ჰპოებს სულიერ საზრდოს არის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოები. მკითხველებს უკვე მოეხსენება, რომ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ კარგა ხანია ამ მხრით გადადგა ნაბიჯი,—დაარსა მრავალ ადგილებში წიგნთ-საცავ-სამკითხველოები და შეძლების დაგვარათ უწევს კიდეც დახმარებას. ადგილობრივი მცხოვრებთა მოვალეობას შეადგენს უხელმძღვანელოს და გამოძებნოს წყაროები სამკითხველოს არსებობისთვის. სამწუხაროდ, ზოგიერთ ადგილებში საზოგადოება გულ-ცივათ ეკიდება ამ დიდ საქმეს და მიუხედავად იმისა, რომ შემოკრებს ძალ გარშემო, გააფართოვოს და აღაყვაოს ის, განს უდგას მას, რის გამოც სამკითხველოს მდგომარეობა იმ ზომამდე აღწევს, რომ მის არარსებობა უდრის არა არსებობას. ასეთ არა სასიამოვნო მოვლენას საჭიროა მიაქციოს ყურადღება განსაკუთრებით მოწინავე მუშებმა და ინტელიგენციამ. აი სწორეთ ესეთი საფრთხე კარზე მოდგომია ავლაბრის წიგნთ-საცავ სამკითხველოს. ზოგიერთი გამგეობის წევრნი თითქმის სულ ჩამოშორდენ, თვით წევრთაც საწევრო გადასახადი, რომელიც უდრის 50 კ. წლიურათ, იშვიათად შემოაქვთ. ამ კრიზისის დროებით მაინც თავიდან ასაცილებლათ, გამ. წევრი ნ. მეზვრიშვილის მეცადინეობით და თხოვნით სახალ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ავლაბარში თეატრ პალასში „ტარტიუფი ანუ მუზმუზელა". 21 იანვარს, კვირას, დილის 12 საათიდან ზემოხსენებული სამკითხველოს სასარგებლოთ. ბილეთები იყიდება ავლაბრის კლუბში, რ. ს. დ. მ. პ. (მენშევიკთა) კოლექტივში და თვით სამკითხველოში, „როზოვი" მოედანზე. ვსთხოვთ თანამგრძნობთ გაგვიწიონ დახმარება.

გამ. წევრი ნ. სხულუხია.

# პროვინცია

**თიანეთის მაზრა.** 17 დეკემბერს ნაქალაქარში გაიმართა გლეხთა საბჭოს აღმ. კომიტეტის და სოფლის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობაზე მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ გააკეთა ამხ. ნ. ქუმსიაშვილმა. კამათის შემდეგ ყრილობამ დაადგინა: უსაშინელესი სისხლის ღვრა ძმათა შორის, რომელიც გამოიწვია ბალშევიკების გამოსვლამ, უმზადებს ნიადაგს კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობას და საფრთხეში აგდებს თავისუფლებას. ყრილობა სასტიკ პროტესტს აცხადებს ბალშევიკების მოქმედების წინააღმდეგ და საჭიროთ სცნობს მათ მიმართ უფრო გარკვეული ნაბიჯების გადადგმას რუსეთის რევოლიუციის დასაცველათ და გადასარჩენათ. შინაურ და გარეშე საფრთხის თავიდან ასაცილებლათ კრება საჭიროთ სცნობს სახალხო შეიარაღებას, მილიციისა და გვარდიების სახით; კრება პროტესტს აცხადებს ბალშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის წინააღმდეგ.

დასასრულ კრებამ გაარჩია ადგილობრივი საკითხები და იქვე ქუმსიაშვილის და გაჩეჩილაძის ინციატივით შეგროვდა 63 მანეთი და 50 კაპ. ადგილობრივ ღარიბ შკოლის სასარგებლოთ.

18 დეკემბერს მოხდა ზემო აღნიშნული საზოგადოების ყრილობა; ყრილობამ დაადასტურა წინა დღის ყრილობის რეზოლიუციები და მოახდინა აღმ. კომიტეტის რეორგანიზაცია. აირჩიეს: ალექსი ობგაიძე, თევ. მეწუნაშვილი და სხვები. შკოლის მზრუნველათ აირჩიეს ნიკო გ. როკაშვილი.

23 დეკემბერს მოხდა საყდრიონის, საზოგადოების ყრილობა. ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ნ. ქუმსიაშვილმა მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა ნაქალაქრის მიღებული რეზოლიუციის მსგავსი რეზოლიუცია. ყრილობამ აგრეთვე დაადგინა: გაეგზავნოს დეპეშა ამიერ-კავკასიის კომისარიატს და ნდობა გამოუცხადოს მას.

დასასრულ ყრილობამ ტყეების გაჩეხა-განადგურების შესახებ გამოიტანა შესაფერი დადგენილება და ხალხს მოუწოდა ებრძოლონ ტყეების გამანადგურებელთ.

ასეთივე კრებები გაიმართა ბევრ ადგილებში; მთიულეთში მიმოსვლა შეწყვეტილია ცუდი ამინდებისა და დიდი თოვლის გამო. მაზრაში აქა-იქ ამ ბოლო ხანებში ანარქია თანდათან ძლიერდება. ლოთობაც მატულობს. ჯარისკაცები თითქმის ყველა დაბრუნდენ. ბევრი იმათგანი იცავს წეს-რიგს, მხოლოდ ბევრი წყალს ამღვრევს. საჭიროა ანარქიის წინააღმდეგ ზომების მიღება, პროპაგანდა-აგიტაცია.

ნ. ქ.

**ს. ნორიო.** (ტფილისის მაზრა). 5 იანვარს, „ერთობაში" მოთავსებული იყო ს. ნორიოდან წერილი. ამ წერილს ძალიან აუშფოთებია ვაჭარ-მიკიტნები და უფრო ძალიან იმათი ამორჩეული მოხელეები. აუშფოთებია და ამიტომაც გაშმაგებულნი დაეძებენ დამნაშავეს.

ჩურჩულობენ, კითხულებენ, მაგრამ ამაოთ!.. ვერ იპოვეს.

ამ რამდენიმე დღის წინათ დღისით გაცარცვეს აქაური ფართალით მოვაჭრე-ებრაელი. წაიღეს რაც კი რამ ებადა და დასტოვეს ულუკმაპუროთ, წაიღეს სახლში სახმარებელი ნივთებიც, სულ 10,000 მან. მეტი ღირებულებისა. საჭიროა მოხდეს აქაური მართველობის რეორგანიზაცია. იმედია ვისიც ჯერ არს ყურადღებას მიაქცევს.

ნორიელი.

**სად. ნავთლუღი.** 9 იანვარს აქ მოვიდა ჯავშნიანი მატარებელი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. ვ. გოგუაძე. ის სადგურ ნავთლუღის წითელგვარდიელების დახმარებით შეუდგა სადგურზე წესიერების დამყარებას. ყველას მოეხსენება, თუ რა უწესოებას ჰქონდა აქ ადგილი ამ ბოლო დროს. რუსეთში მიმავალ ეშელონებს უხვდებიან არა მკითხე პირები ჯარისკაცის ტანისამოსში და ართმევენ თოფებს და ხშირათ შინელებს და ჩექმებსაც. 9 იანვარს ყარსიდან მომავალ მატარებელს შეხვდა ნაწილი სომხის ჯარისკაცებისა, რომელთაც აზრათ ჰქონდათ ზემოაღნიშნული ბოროტი განზრახვა, მაგრამ ჯავშნიანი მატარებლისა და წითელგვარდიელების მეოხებით წესიერება არ დარღვეულა. 10 იანვარს საღამოს კიდევ ჰქონდა ადგილი უწესოებას. აღმოჩნდა, რომ რუსის ჯარისკაცებს, რომლებიც მატარებელს უცდიდენ, წაართვეს ორი ვინტოვკა ქართველ ჯარისკაცების ფორმაში გამოწყობილმა პირებმა. ხმაურობაზე გაჩნდენ წითელი გვარდიელები და ერთი მომტაცებელთაგანი იქვე შეიპყრეს და აიძულეს, რომ მათ მოეტანინებიათ მეორე თოფიც, რაც ასრულებულ იქნა, რის შემდეგაც დაჭერილები გაანთავისუფლეს. 11 იანვარს კვლავ ჰქონდა ადგილი უწესოებას. ამ დღეს კინაღამ შეტაკება არ მოხდა ჯარის ნაწილებს შორის რაღაც უბრალო ინციდენტზე, მაგრამ აქაც ჯავშნიანი მატარებლისა და წითელგვარდიელების დახმარებით ინციდენტი თავიდან აიშორეს.

გ. დოლიძე.

# წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" მე-216 ნომერში მოთავსებულ წერილით ექვთიმე ჩხაიძე მიწვევს სამედიატორო სასამართლოში და მოითხოვს ჩემი ვინაობის გამოქვეყნებას. ჩემი ვინაობა საქმისთვის საჭირო არაა. მე მაქ არ ვიმყოფები ამ ჟამად; ნდობას ვუცხადებ თქვენს დასახელებულ პირებს; მესამეთ ვასახელებ სამსონ კადეიშვილს სადგურის უფროსის თანაშემწეს. მოწამეთ ვასახელებ თვით მოსამსახურეებს: (ორი მათგანი მაქედან წასულია) ივანე ავალიანს, ონოფრე ლორიას, გრიშა სირბილაძეს, სანდრო თომაძეს და კოსტა ჯანაშიას.

ვსთხოვ გარნიზონის აღმასრულებელ კომიტეტს ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და გამოარკვიოს მოსამსახურეთა მდგომარეობა.

ჯულფელი მუშა.


# ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

1917 წლის 24 ნოემბერს შემდეგ არავითარი ცნობა არ გვაქვს სალდათი ნოე გიგოლძე ალექსიას შესახებ, რომელიც მსახურობდა 154 დერბენდის პოლკში მეორე როტაში პირველ „ვზვოდში"; თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, ვთხოვ ყველას გვაცნობოს „ერთობის" საშვალებით ან შემდეგ ადრესით: ტფილისი, ნახალოვკა პარკოვის ქუჩა № 23 სილოვან სპირიდონისძე ბარამიძე.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
## კეკელიასი
მიიღებს კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
## დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

## ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
**შინაგან და ბავშვთა სნეულებანი**
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
## ზ. დონხინი
**ყოფილი ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,** დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. **მიხეილის პრ., 76,** (ხაიკინის კბილის საექიმო).

# ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირი
იწვევს მდივნის თანამდებობაზე უმაღლეს იურიდიულ განათლება მიღებულ პირს რომელიც აგრეთვე უნდა იცნობდეს **კოოპერაციას,** როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულადაც; **საჭიროა ჰქონდეს მდივნობის გამოცდილებაც.**

განცხადება „კურიკულუმ ვიტე"-თი უნდა წარმოდგენილ იქმნას კავშირის გამგეობაში (ტფილისი, მიხეილის პრ. № 178) 2—1)


# ტფილისის ქალაქის გამგეობის
# სავალდებულო დადგენილება

1) 1 თებერვლიდან პური მიეცემა მხოლოდ ბინის კომიტეტებს ვარდისფერ ბარათებით.

2) იანვრის განმავლობაში ბინის კომიტეტებს პური მიეცემათ რიგის გარეშე.

3) პურის სავაჭროები ვალდებულნი არიან ნაწილ-ნაწილად აწონილი პური მისცენ ბინის კომიტეტებს მათგან წარდგენილ ბარათების თანახმად.

4) პურის დუქნები და ფურნეები ვალდებული არიან პურის გაყიდვა დილის 6 საათ. დაიწყონ. ბინის კომიტეტებისათვის პური უნდა შემოინახონ მოთხოვნილების თანახმად.

5) ბინის კომიტეტები ვალდებულნი არიან იქონიონ თვითეულ ბინაში მცხოვრებ პირთა სია ბინის დამქირავებელთაგან ხელმოწერილი, ეს უკანასკნელები კი პასუხს აგებენ სიაში შეტანილ სიყალბეში და აგრეთვე თუ თავის დროზე არ გააგებიენ ბინის კომიტეტს ამა თუ იმ პირის ბინიდან გადასვლა.

**შენიშვნა:** ამ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვეველნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი 1917 წ. 17 მარტის დროებითი მთავრობის რედაქციით გამოცემულ დებულების მე-29 მუხლის ძალით, რომლის თანახმად დამნაშავენი ისჯებიან მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ.

(2—2) ტფილისის ქალაქის გამგეობა.


# ქართული უნივერსიტეტი
# ტფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილებ[illegible] ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო[illegible] საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**

სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარ[illegible]ქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინა[illegible]რია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტ[illegible] დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მ[illegible] სამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობ[illegible] (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმე[illegible]ნელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა [illegible] ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შ[illegible] მოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქარ[illegible]თული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეების.

ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифли[illegible] зданіе Грузинской гимназіи.

ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: პ. მელიქიშვილი.
ივ. ჯავახიშვილი.

(15—13)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.